



NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

„კიბერუსაფრთხოების“ ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო
პროგრამა

შპს ბრიტანული უნივერსიტეტი და სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 2026 წლის 18 - 19 თებერვალი

დასკვნის პროექტის წარმოდგენის თარიღი: 2026 წლის 8 აპრილი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს ბრიტანული უნივერსიტეტი სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	405365698 211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გვარი,	სეიფედინ კადრი, ლიბანის ამერიკული უნივერსიტეტი, ლიბანი და ნოროფის უნივერსიტეტი, ნორვეგია
წევრი (სახელი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გვარი,	მაგდა ცინცაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გვარი,	ლია კურტანიძე, შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გვარი,	თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გვარი,	თამარ თხელიძე, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	კიბერუსაფრთხოება
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Cybersecurity
უმაღლესი განათლების საფეხური / პროგრამა	7
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	კიბერუსაფრთხოების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური / შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების / პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	
დიპლომირებული ერთსაფეხურიანი მედიკოსის საგანმანათლებლო	

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით. მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	
-----------------------------------------------------------------	--

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი კიბერუსაფრთხოების ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა ახალია, შემუშავებულია შპს ბრიტანული უნივერსიტეტისა და სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პარტნიორობის ფარგლებში და ასახავს მათი წარმატებული აკადემიური თანამშრომლობის განვითარების შემდგომ ეტაპს. პროგრამა შეესაბამება ორივე დაწესებულების მისიას მოამზადოს კურსდამთავრებულები, რომლებიც შეძლებენ წარმართონ ეფექტური, ეთიკური და მოქნილი საქმიანობა ციფრულად და გლობალურად ურთიერთდაკავშირებულ გარემოში. პროგრამის ხანგრძლივობაა ორი სასწავლო წელი და ჯამში მოიცავს 120 კრედიტს. პროგრამაში 100 კრედიტი ეთმობა კიბერუსაფრთხოების სავალდებულო კურსებს, 20 კრედიტი არჩევით კურსებს და 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომს. სასწავლო გეგმა შემუშავებულია ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, იმისათვის, რომ კურსდამთავრებულებმა შეიძინონ გლობალურ კონკურენტულ გარემოში აუცილებელი ცოდნა და კომპეტენციები. პროგრამის აქტუალობა დადასტურებულია ბაზრის კვლევის შედეგებით, რომელიც ცხადყოფს მზარდ მოთხოვნას კიბერუსაფრთხოების სპეციალისტებზე. სწრაფმა ციფრულმა ტრანსფორმაციამ, ხელოვნური ინტელექტის, დრუბლოვანი გამოთვლების განვითარებამ და კრიტიკული ინფრასტრუქტურების დაცვამ კიბერუსაფრთხოება აქცია ეროვნული უსაფრთხოების, ეკონომიკური სტაბილურობის, ბიზნეს კონკურენტუნარიანობისა და საზოგადოებრივი ნდობის ცენტრალურ კომპონენტად. კიბერუსაფრთხოებისა და მონაცემთა გაჟონვის შემთხვევების ზრდის პარალელურად მატულობს მოთხოვნა კიბერუსაფრთხოების კვალიფიციურ სპეციალისტებზე. პროგრამა ხორციელდება ინგლისურ ენაზე და ეფუძნება თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. მისი შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული კიბერუსაფრთხოების განათლების დარგობრივი მახასიათებლის სახელმძღვანელო მითითებები, ასევე საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტები, როგორცაა ABET და ACM. გარდა ამისა, სასწავლო გეგმა შემუშავდა მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების კიბერუსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს გლობალურ აკადემიურ და პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობას.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

პროგრამის შეფასება განხორციელდა 2026 წლის 18 და 19 თებერვალს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებით დამტკიცებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ. შეფასება ჩატარდა ადგილზე ვიზიტის ფარგლებში. ჯგუფის თავმჯდომარე, უცხოელი

ექსპერტი, ადგილობრივი ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები ინტერვიუებს ესწრებოდნენ პირისპირ. აკრედიტაციის ექსპერტებმა 12 თებერვალს ონლაინ რეჟიმში ჩაატარეს წინამოსამზადებელი შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც ერთმანეთს გაუზიარეს წინასწარი მიგნებები პროგრამის, თვითშეფასების ანგარიშისა და შესაბამისი დანართების შესწავლის საფუძველზე და დაგეგმეს შეფასების დეტალები. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეხვედროდა პროგრამის ყველა შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეს და დაეთვალისწინებინა მატერიალურ - ტექნიკური რესურსები. ინტერვიუები ჩატარდა ორივე უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, სხვა პროგრამის კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. აკრედიტაციის ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული, უზრუნველყოფილი იყო თანამშრომლობითი და კეთილგანწყობილი სამუშაო გარემო.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

კომპონენტები 1.1, 1.5 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

კომპონენტები 1.2, 1.3, 1.4 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

კომპონენტები 2.1, 2.2 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

კომპონენტები 2.3, 2.4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

კომპონენტი 3.1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

კომპონენტი 3.2 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

კომპონენტი 4.1- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

კომპონენტი 4.5 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

კომპონენტები 5.1 - 5.3 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

რეკომენდაციები

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- რეკომენდებულია, კვალიფიკაციის დონესთან შესაბამისობის მიზნით, დაკორექტირდეს მე - 2 და მე - 4 სწავლის შედეგი და ჩამოყალიბდეს გაზომვადი სახით;
- რეკომენდებულია, შემუშავდეს სწავლის შედეგების ფორმულირების ერთიანი დოკუმენტი;
- რეკომენდებულია, მკაფიოდ აისახოს უწყვეტ პროფესიულ განვითარებასთან და კიბერუსაფრთხოების ცოდნის და პრაქტიკის გაძლიერებასთან დაკავშირებული ელემენტები, რომლებიც წარმოადგენენ თანამედროვე კიბერუსაფრთხოების განათლების სტანდარტების მნიშვნელოვან ასპექტებს.

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- რეკომენდებულია, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული შესრულების ინდიკატორისთვის შემუშავდეს რუბრიკა. რუბრიკის ენა უნდა შეესაბამებოდეს შესრულების ინდიკატორს. რეკომენდებულია, მკაფიოდ შეირჩეს სასწავლო კურსები, რომლებიც გამოყენებული იქნება შესრულების ინდიკატორების შეფასებისას. საჭიროა მატრიცა აისახოს ფაილში "Cyb Map Eng" (დანართი 1).
- რეკომენდებულია, ორივე უნივერსიტეტმა გამოიყენოს უნიფიცირებული შეფასების მექანიზმი.

1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

რეკომენდებულია, პროგრამას სავალდებულო სახით დაემატოს შემდეგი თემები: კიბერდანაშაული, კიბერპოლიტიკა და გლობალური კიბერუსაფრთხოების მართვა.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

- რეკომენდებულია, პროგრამაში მკაფიოდ განისაზღვროს და ფორმალურად აისახოს მისაღები გამოცდისთვის მოთხოვნილი წინაპირობის მინიმალური კომპეტენციები, განსაკუთრებით კომპიუტერული მეცნიერებების ისეთ ძირითად სფეროებში, როგორებიცაა პროგრამირება, ოპერაციული სისტემები, კომპიუტერული ქსელები, დისკრეტული მათემატიკა და კიბერუსაფრთხოების საფუძვლები.
- პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებამ უნდა შეიმუშავოს და ფორმალურად დანერგოს გამაძლიერებელი ან მოსამზადებელი მექანიზმი იმ აბიტურიენტებისათვის, რომელთაც არ გააჩნიათ კომპიუტერული მეცნიერების წინარე ცოდნა.

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

- რეკომენდებულია, ფორმალურად დამტკიცდეს და გამოქვეყნდეს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი და ხელმძღვანელობის სახელმძღვანელო მითითებები;
- რეკომენდებულია, პარტნიორ დაწესებულებებს შორის შემუშავდეს ერთობლივი კვლევის ხელმძღვანელობის მექანიზმი.

3.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელობა

- რეკომენდებულია, ერთობლივი სამაგისტრო პროგრამისთვის შემუშავდეს რეგულაცია, რომელშიც ამომწურავად იქნება განსაზღვრული ხელმძღვანელების / თანახელმძღვანელების შერჩევის, დანიშვნის და შეცვლის პროცედურები, მათი უფლებები და მოვალეობები, ხელმძღვანელის და სტუდენტის თანაფარდობის განსაზღვრის გამჭვირვალე მეთოდოლოგია და პროგრამის ეფექტური განხორციელებისთვის საჭირო ყველა სხვა შესაბამისი ასპექტი;
- რეკომენდებულია, განისაზღვროს ხელმძღვანელის მაქსიმალური სამუშაო დატვირთვა და ხელმძღვანელის და სტუდენტის თანაფარდობა.

რჩევები

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

დოკუმენტებში ზოგიერთი სასწავლო კურსის სახელწოდებები არათანმიმდევრულია, რაც სავარაუდოდ წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს დოკუმენტაციის მომზადებისას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

- სასურველია, დაინერგოს სტრუქტურირებული დიაგნოსტიკური შეფასების მექანიზმი, იმისათვის, რომ შემოწმდეს აბიტურიენტების მომზადება მე-7 დონის განათლების მოთხოვნებისთვის.
- უნივერსიტეტებმა შესაძლოა განიხილონ პროგრამაზე დაშვების შეზღუდვა იმ აბიტურიენტებისათვის, რომელთაც გააჩნიათ ბაკალავრის ხარისხი კომპიუტერულ მეცნიერებში ან ეკვივალენტური აკადემიური მომზადება.
- სასურველია, პერიოდულად გადაიხედოს მისაღები გამოცდის შინაარსი სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონაცემების საფუძველზე, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს შესაბამისობას დაშვების კომპეტენციებს და პროგრამის მოთხოვნებს შორის.
- სასურველია, დაინერგოს ფორმალური აკადემიური საკონსულტაციო სესია ახლად ჩარიცხული სტუდენტებისთვის, იმისათვის, რომ შეფასდეს ინდივიდუალური მომზადება, რაც ხელს შეუწყობს შეუფერხებელ აკადემიურ ინტეგრაციას.

- სასურველია, მისაღები გამოცდა პირდაპირ შეესაბამებოდეს აღნიშნული წინაპირობის კომპეტენციებს და სტრუქტურირებული იყოს იმგვარად, რომ აფასებდეს კიბერუსაფრთხოების სპეციალიზაციის სასწავლო კურსებისთვის მზადყოფნას.
- სასურველია, დაშვების კრიტერიუმები და მოსალოდნელი კომპეტენციები საჯაროდ და მკაფიოდ იყოს ხელმისაწვდომი მომავალი აბიტურიენტებისთვის.

22.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

- სასურველია, ტექნიკური კურსების ფარგლებში დაინერგოს კვლევაზე დაფუძნებული მინი - პროექტები.
- სასურველია, წახალისებულ იქნეს სტუდენტების ინტეგრაცია აკადემიური პერსონალის მიმდინარე კვლევით პროექტებში.

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

- სასურველია, ტექნიკურ კურსებში გაძლიერდეს კვლევაზე დაფუძნებული და ანალიტიკური დავალებების ინტეგრაცია, იმისათვის, რომ უკეთ აისახოს სამაგისტრო დონის მოთხოვნები.
- სასურველია, პროგრამას დაემატოს მოწინავე ინტეგრაციული პროექტები, რომლებიც მოითხოვენ კიბერუსაფრთხოების მრავალი სფეროს გაერთიანებას.
- სასურველია, ტექნიკურ სასწავლო კურსებში უფრო აქტიურად იყოს გათვალისწინებული შედარებითი ანალიზის ინსტრუმენტები, სტანდარტები და მეთოდოლოგიები.

4.1. ადამიანური რესურსი

- სასურველია, უნივერსიტეტებმა გააუმჯობესონ აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია კიბერუსაფრთხოების სფეროში, კერძოდ დაიქირავონ და განავითარონ სპეციალისტები, რომლებსაც გააჩნიათ აღნიშნულ დარგში ძლიერი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება.

4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

- სასურველია, უნივერსიტეტებმა გაზარდონ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის უფლების მქონე კვალიფიციური აკადემიური პერსონალის რაოდენობა, განსაკუთრებით კიბერუსაფრთხოების სფეროში და გააძლიერონ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალის ჩართულობა, იმისათვის, რომ მომავალი სტუდენტები უზრუნველყონ სათანადო სამეცნიერო ხელმძღვანელობის შესაძლებლობით.

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- სასურველია, პროგრამის ფარგლებში გაძლიერდეს აკადემიური და კვლევითი საქმიანობა კიბერუსაფრთხოების სფეროში, მათ შორის გაიზარდოს პუბლიკაციების რაოდენობა საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში, სპეციალიზებულ კონფერენციებში მონაწილეობა, აკადემიური მობილობა და ორგანიზებულ იქნეს მიზნობრივი სემინარები და სასწავლო ტრენინგები.
- სასურველია, ბრიტანულ უნივერსიტეტში გაიზარდოს დარგის შესაბამისი აქტივობები.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁴

▪ ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფი ნაწილობრივ ეთანხმება უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციას. კერძოდ, შემდეგი რეკომენდაციები გადატანილია რჩევების კატეგორიაში განახლებული ფორმულირებით:

- სასურველია მისაღები გამოცდა პირდაპირ შეესაბამებოდეს აღნიშნული წინაპირობის კომპეტენციებს და სტრუქტურირებული იყოს იმგვარად, რომ აფასებდეს კიბერუსაფრთხოების სპეციალიზაციის სასწავლო კურსებისთვის მზადყოფნას.
- სასურველია დაშვების კრიტერიუმები და მოსალოდნელი კომპეტენციები საჯაროდ და მკაფიოდ იყოს ხელმისაწვდომი მომავალი აბიტურიენტებისთვის.
- სასურველია, უნივერსიტეტებმა გააუმჯობესონ აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია კიბერუსაფრთხოების სფეროში, კერძოდ დაიქირავონ და განავითარონ სპეციალისტები, რომლებსაც გააჩნიათ აღნიშნულ დარგში ძლიერი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება.
- სასურველია, უნივერსიტეტებმა გაზარდონ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის უფლების მქონე კვალიფიციური აკადემიური პერსონალის რაოდენობა, განსაკუთრებით კიბერუსაფრთხოების სფეროში და გააძლიერონ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალის ჩართულობა, იმისათვის, რომ მომავალი სტუდენტები უზრუნველყონ სათანადო სამეცნიერო ხელმძღვანელობის შესაძლებლობით.

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისთვის.

სხვა რეკომენდაციები უცვლელად დარჩა, რადგან ისინი არ შეესაბამება შესაბამის კომპონენტებს.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:**

- პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური / სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა;

სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება დარგის გამოცდილი და კვალიფიციური აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიერ. პროგრამის განხორციელებაში ჯამში ჩართულია 14 აკადემიური პირი. თითოეულ მათგანს გააჩნია პროგრამის შესაბამისი დარგობრივი გამოცდილება, ხოლო 8 წევრი ფლობს დოქტორის აკადემიურ ხარისხს. აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალის 14 წევრი აფილირებულია უნივერსიტეტთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ინსტიტუციურ სტაბილურობას და უწყვეტობას.

აკადემიური პერსონალის სტრუქტურა მოიცავს 8 პროფესორს, 2 ასოცირებულ პროფესორს და 4 ასისტენტ - პროფესორს. ყველა პროფესორი ფლობს დოქტორის ხარისხს შესაბამის სფეროში. ასოცირებულ პროფესორთა კატეგორიაში ერთი პირი ფლობს დოქტორის ხარისხს დარგობრივ მიმართულებაში, ხოლო ასისტენტ - პროფესორთა შორის ოთხივეს გააჩნია დარგის შესაბამისი დოქტორის კვალიფიკაცია. პროგრამის განხორციელებაში არ არის ჩართული ასისტენტის თანამდებობის მქონე აკადემიური პერსონალი.

აკადემიური პერსონალის გარდა, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 8 სამეცნიერო პერსონალი, რომლებიც მხარს უჭერენ კვლევით საქმიანობას და აძლიერებენ პროგრამის კვლევით გარემოს. პროგრამა ასევე მოიცავს ერთ საერთაშორისო პერსონალის წევრს, რომელსაც შეაქვს წვლილი სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაში.

ამჟამად პროგრამას არ ჰყავს მოწვეული აკადემიური პერსონალი. შესაბამისად, პროგრამა ძირითადად ხორციელდება აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ, რაც უზრუნველყოფს სწავლების, ხელმძღვანელობისა და აკადემიური განვითარების თანმიმდევრულობას.

- სამეცნიერო / კვლევითი მაჩვენებლები - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო / კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი მუდმივად ჩართულია სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში, კერძოდ, საერთაშორისო კონფერენციებში, სამეცნიერო - პრაქტიკულ ფორუმებში მონაწილეობით და რეცენზირებად ჟურნალებში და საკონფერენციო შრომებში კვლევის შედეგების გამოქვეყნებით. არსებული მტკიცებულებები მიუთითებს, რომ პროგრამის პერსონალი ინარჩუნებს აქტიურ, თუმცა ზომიერ კვლევით აქტივობას. კვლევითი პროფილის ყველაზე ძლიერი ელემენტები მოიცავს:

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში რეგულარულ მონაწილეობას, ხელოვნური ინტელექტის და ციფრული ტექნოლოგიების სფეროს ინტერდისციპლინურ კვლევით თემებში ჩართულობას, საერთაშორისო აკადემიურ მოხილობას და თანამშრომლობას ევროპული პროგრამების ფარგლებში.

თუმცა, კვლევითი საქმიანობა ძირითადად კონცენტრირებულია საკონფერენციო პრეზენტაციებზე, ხოლო სამეცნიერო ჟურნალებში შეზღუდული რაოდენობის პუბლიკაციები მიუთითებს, რომ საჭიროა პროგრამის სამეცნიერო პროფილის გაძლიერება მაღალი იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებების და გარე დაფინანსების მქონე სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობების გაფართოებით. წარდგენილ CV - ებში მკაფიოდ არ არის მითითებული პუბლიკაციების სახეები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა ვერ წარმოადგინა რაოდენობრივი ანალიზი აღნიშნული მიმართულებით.

- აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);
არ ეხება
 - ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით;
არ ეხება
 - თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.
- ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და / ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	1.1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	მეტწილად შესაბამისობაშია
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	მეტწილად შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	მეტწილად შესაბამისობაშია
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	მეტწილად შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი / საგანი	შესაბამისობაშია
2.	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	მეტწილად შესაბამისობაშია
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	მეტწილად შესაბამისობაშია
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	მეტწილად შესაბამისობაშია
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია
2.4	სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია
3.	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	მეტწილად შესაბამისობაშია
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია
4.1	ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია
4.2	მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია
4.4	მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია

4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	აირჩიეთ შესაბამისი
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია
5.2	გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები;
რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის
საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის
განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე

შეფასების კრიტერიუმები

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის,
რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და მიღწევადია. პროგრამის მიზანია მოამზადოს კიბერუსაფრთხოების სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპეტენციები საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

გარდა ამისა, დოკუმენტაცია და ინტერვიუები მიუთითებს, რომ შემუშავებულია პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, რაც ადასტურებს მოსალოდნელი სწავლის შედეგების თანხვედრას პროგრამის მიზნებთან. აღნიშნული თანხვედრა ადასტურებს, რომ მიზნები განხორციელებადია გაზომვადი სწავლის შედეგებით, რაც შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოლოდინებს.

მიზნები მკაფიოდ ასახავს კიბერუსაფრთხოების სფეროს სპეციფიკურ მახასიათებლებს. მათში აქცენტი კეთდება სისუსტეების და კიბერუსაფრთხოების ანალიზზე, უსაფრთხო კიბერინფრასტრუქტურების შემუშავებაზე, ორგანიზაციული კიბერუსაფრთხოების სისტემების დანერგვაზე და კიბერუსაფრთხოებაში კვლევის ჩატარებაზე თანამედროვე მეთოდოლოგიების გამოყენებით.

აღნიშნული ელემენტები შეესაბამება სამაგისტრო დონეზე მოსალოდნელ ცოდნას და ანალიტიკურ კომპეტენციებს, დამოუკიდებელი კვლევის და მოწინავე მეთოდების გამოყენების გათვალისწინებით.

მიზნებში მიუთითებულია, რომ კურსდამთავრებულები განივითარებენ:

- კიბერუსაფრთხოების მოწინავე თეორიულ ცოდნას,
- პრაქტიკულ უნარებს საფრთხეების ანალიზსა და ინფრასტრუქტურის დაცვაში,

- კვლევით კომპეტენციებს, ეთიკურ ცნობიერებასა
- და აკადემიურ კეთილსინდისიერებას.

აღნიშნული ელემენტები შეესაბამება საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ სამაგისტრო პროგრამებისთვის დადგენილ ცოდნის - უნარების - კომპეტენციის ჩარჩოს.

პროგრამის მიზნებში მითითებულია ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც წვლილს შეიტანენ: ორგანიზაციული კიბერუსაფრთხოების დაცვაში და კიბერუსაფრთხოების სფეროს და საზოგადოების განვითარებაში. აღნიშნული შეესაბამება უნივერსიტეტების მისიებს და კიბერუსაფრთხოების საზოგადოებრივ მნიშვნელობას.

პროგრამის მიზნები პირდაპირ არის დაკავშირებული ორივე დაწესებულების მისიასთან:

- ბრიტანული უნივერსიტეტის მისიაა მოამზადოს კურსდამთავრებულები გლობალურად ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში წარმატებული პროფესიული საქმიანობისთვის;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიაა ინტელექტუალური, კულტურული და სოციალურ - ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება.

პროგრამის აქცენტი ინოვაციაზე, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობაზე და უწყვეტ განათლებაზე შეესაბამება აღნიშნული დაწესებულებების მისიებს.

პროგრამაში გაცხადებულია, რომ როგორც საქართველოში, ისე გლობალურ დონეზე მაღალია მოთხოვნა კიბერუსაფრთხოების სპეციალისტებზე და განხორციელებულია შრომის ბაზრის ანალიზი და დამსაქმებლებთან კონსულტაციები. პროგრამის შემუშავების პროცესში დამსაქმებლების და სფეროს სპეციალისტების ჩართულობა წარმოადგენს დადებით პრაქტიკას და შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოლოდინებს დაინტერესებული მხარეების მონაწილეობასთან დაკავშირებით.

პროგრამა ინტერნაციონალიზაციას მოიცავს ძირითადად კიბერუსაფრთხოების საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის და კურსდამთავრებულების გლობალური სამუშაო გარემოსთვის მომზადების გზით.

პროგრამაში მითითებულია, რომ მიზნები გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე და გავრცელდება სხვა საინფორმაციო და საკომუნიკაციო არხების მეშვეობით.

დოკუმენტაციით და ინტერვიუებით დასტურდება, რომ მიზნები შემუშავდა თანამშრომლობითი პროცესის ფარგლებში შემდეგი მხარეების მონაწილეობით:

- აკადემიური პერსონალი,
- ადმინისტრაციული პერსონალი,
- პროგრამის სამუშაო ჯგუფი,
- დამსაქმებლები და დარგის სპეციალისტები.

პროგრამაზე მუშაობის პროცესში ჩატარდა სამუშაო შეხვედრები და კონსულტაციები. აღნიშნული მიუთითებს, რომ მიზნები გაზიარებულია პროგრამის დაინტერესებულ მხარეებს შორის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უსდ-ს მისია, მიზნები და სტრატეგია, მისი ფაკულტეტის / სკოლის/ ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული და/ან სტრუქტურული ერთეული;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი;
- ვებ - გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➤ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სწავლის შედეგები ლოგიკურად რის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და მხარდაჭერილია პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობის ცხრილით. პროგრამაში მითითებულია, რომ კურსის დონის სწავლის შედეგები ხელს უწყობს პროგრამის დონის სწავლის შედეგების მიღწევას, რაც შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოლოდინებს კონსტრუქციულ შესაბამისობასთან მიმართებით.

განსაზღვრული სწავლის შედეგები ასახავს კიბერუსაფრთხოების კურსდამთავრებულისგან მოსალოდნელ რამდენიმე ძირითად კომპეტენციას, მათ შორის: კიბერუსაფრთხოების კომპლექსური პრობლემების ანალიზს, კიბერუსაფრთხოების გადაწყვეტილებების შემუშავებას, პროფესიულ კომუნიკაციას, ეთიკური და სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღებას, გუნდურ მუშაობას და ლიდერობას, კიბერუსაფრთხოების პრინციპების გამოყენებას ოპერაციული უწყვეტობის უზრუნველსაყოფად.

აღნიშნული სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს მოამზადოს კიბერუსაფრთხოების სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ თანამედროვე უსაფრთხოების გამოწვევებზე რეაგირებას.

სწავლის შედეგები შეესაბამება საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ სამაგისტრო პროგრამებისთვის განსაზღვრული კომპეტენციების რამდენიმე განზომილებას:

ცოდნა და ანალიტიკური კომპეტენცია:

- კიბერუსაფრთხოების კომპლექსური პრობლემების ანალიზი;
- კიბერუსაფრთხოების პრინციპების და დარგობრივი სტანდარტების გამოყენება.

პრაქტიკული და პრობლემის გადაჭრის უნარები:

- კიბერუსაფრთხოების გადაწყვეტილებების შემუშავება და შეფასება;

- ოპერაციული უწყვეტობის უზრუნველსაყოფად უსაფრთხოების ზომების განხორციელება.

ტრანსფერული და პროფესიული უნარები:

- კომუნიკაცია პროფესიულ კონტექსტში;
- გუნდური მუშაობა და ლიდერობა.

პასუხისმგებლობა და ეთიკური ცნობიერება:

- სამართლებრივ და ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება.

სწავლის შედეგების უმრავლესობა გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია და სფეროს დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინებით არის შემუშავებული.

სწავლის შედეგებში აქცენტი კეთდება კომპლექსური პრობლემების გადაჭრაზე, გადაწყვეტილებების შემუშავებაზე, ეთიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე და პროფესიულ თანამშრომლობაზე, რაც შეესაბამება მეორე საფეხურის კვალიფიკაციის მოსალოდნელ მოწინავე კომპეტენციებს.

პროგრამის დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ სწავლის შედეგების შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა შრომის ბაზრის მოთხოვნები და შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მოლოდინები. კერძოდ, ჩატარდა შრომის ბაზრის ანალიზი და პროგრამის შემუშავების და განვითარების პროცესში გათვალისწინებულ იქნა დამსაქმებლების უკუკავშირი. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს კიბერუსაფრთხოების პრაქტიკაში მოთხოვნილ კომპეტენციებს და შეესაბამება კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობებს.

პროფესიულ კომპეტენციებზე ფოკუსირებით, პროგრამის სწავლის შედეგები მხარს უჭერს კურსდამთავრებულების დასაქმებადობას კიბერუსაფრთხოების სფეროში. აღნიშნული მოიცავს კიბერუსაფრთხეების და სისუსტეების ანალიზის, სისტემების დაცვის მექანიზმების განხორციელების და კიბერუსაფრთხოების გადაწყვეტილებების შემუშავების უნარს,

რომლებიც პასუხობენ ორგანიზაციების წინაშე არსებულ თანამედროვე უსაფრთხოების გამოწვევებს.

კიბერუსაფრთხოების სექტორში დასაქმებისთვის მომზადების გარდა, პროგრამა ასევე იძლევა განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების საფუძველს.

სწავლის შედეგებში ასახულია კიბერუსაფრთხოების პრაქტიკასთან დაკავშირებული ძირითადი კომპეტენციები.

სწავლის შედეგების შემუშავებაში მონაწილეობას იღებდნენ აკადემიური პერსონალის წევრები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები იმართებოდა პროგრამის შემუშავების პროცესში და განხილვების ფარგლებში. აღნიშნული თანამშრომლობითი მიდგომა შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოლოდინებს პროგრამის მონაწილეობითი შემუშავების შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების გაზიარებას დაინტერესებულ მხარეებთან განხილვების და პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულობის მეშვეობით.

მე-7 დონის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, რეკომენდებულია, მე - 2 სწავლის შედეგი „აყალიბებს, ავითარებს და აფასებს ინოვაციურ გადაწყვეტილებებს კიბერუსაფრთხოების კონტექსტში განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად" შეიცვალოს შემდეგნაირად: „შეიმუშავებს, ავითარებს და აფასებს ინოვაციურ გადაწყვეტილებებს კიბერუსაფრთხოების კონტექსტში განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად." ასევე რეკომენდებულია, მე - 4 სწავლის შედეგში ტერმინი „აცნობიერებს" შეიცვალოს ტერმინით „აჩვენებს", იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგის გაზომვადობა. გარდა ამისა, დოკუმენტებში სწავლის შედეგების ფორმულირება არათანმიმდევრულია (მაგალითად, უნივერსიტეტებმა უნდა შეადარონ თვითშეფასების ანგარიში და სტუდენტების შედეგების შეფასების მეთოდოლოგია).

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს და მოიცავს კიბერუსაფრთხოების ცოდნასთან, პრაქტიკულ უნარებთან და პროფესიულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ ძირითად სფეროებს,

უნდა გაძლიერდეს შესაბამისობა უწყვეტი პროფესიული განვითარების, კიბერუსაფრთხოების პრაქტიკის ან ცოდნის გაძლიერებაში წვლილის შეტანასთან დაკავშირებული მითითებების ასახვით და გათვალისწინებით. აღნიშნული ელემენტების დამატება უზრუნველყოფს სამიზნე ნიშნულების სფეროების სრულყოფილ გაშუქებას და კიბერუსაფრთხოების სფეროში კურსდამთავრებულებისგან მოსალოდნელი ფართო კომპეტენციების მკაფიოდ ასახვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი;
- ვებ - გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები.

- რეკომენდებულია, კვალიფიკაციის დონესთან შესაბამისობის მიზნით დაკორექტირდეს მე - 2 და მე - 4 სწავლის შედეგი და ჩამოყალიბდეს გაზომვადი სახით.
- რეკომენდებულია, შემუშავდეს სწავლის შედეგების ფორმულირების ერთიანი დოკუმენტი.
- რეკომენდებულია, მკაფიოდ აისახოს უწყვეტ პროფესიულ განვითარებასთან და კიბერუსაფრთხოების ცოდნის და პრაქტიკის გაძლიერებასთან დაკავშირებული ელემენტები, რომლებიც წარმოადგენენ თანამედროვე კიბერუსაფრთხოების განათლების სტანდარტების მნიშვნელოვან ასპექტებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

1.2 პროგრამის მეტწილად შესაბამისობაშია სწავლის შედეგები

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი შეფასების მექანიზმის შესაბამისად, შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების სტრუქტურირებული მეთოდოლოგია. შეფასება მოიცავს სისტემატურ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პროცესს, რომელიც აერთიანებს პირდაპირ და არაპირდაპირ შეფასების მეთოდებს. პირდაპირი შეფასება ხორციელდება სტუდენტების აქტივობების და ნამუშევრების შეფასებით, როგორცაა გამოცდები, ლაბორატორიული დავალებები, კვლევითი პროექტები და სამაგისტრო ნაშრომი. არაპირდაპირი შეფასება მოიცავს სტუდენტების, კურსდამთავრებულების გამოკითხვებს, დამსაქმებლების უკუკავშირს და სამაგისტრო ნაშრომების ან შემაჯამებელი პროექტების გარე შეფასებებს. აღნიშნული მიდგომა შეესაბამება შედეგებზე დაფუძნებულ განათლების პრინციპებს და საშუალებას იძლევა გაზომილ იქნეს სტუდენტების მიერ მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხი. ასეთი მექანიზმები შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტების მოლოდინებს, რომლებიც დაწესებულებებს ავალდებულებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის თანმიმდევრული და გამჭვირვალე სახით გაზომვის უზრუნველსაყოფად განსაზღვრონ, შეაგროვონ და გაანალიზონ შესაბამისი მონაცემები. ვინაიდან აღნიშნული პროგრამა არის ერთობლივი პროგრამა, რეკომენდებულია ორივე უნივერსიტეტმა შეიმუშაოს ან შეთანხმდეს ერთიანი შეფასების მექანიზმის გამოყენებაზე.

პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია სტუდენტების შედეგები და მათთან დაკავშირებული შესრულების ინდიკატორები, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების ფუნქციურობას და გაზომვადობას. თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულია მრავალი შესრულების ინდიკატორი, რომელიც აღწერს სტუდენტების მიერ მისაღწევ კონკრეტულ კომპეტენციებს. პროგრამაში ასევე გამოყენებული იქნება სტანდარტიზებული რუბრიკები მიღწევის 5 დონიანი სკალით, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო კურსებში და კოპორტებში შეფასების პროცესის თანმიმდევრულობას და გამჭვირვალობას. გარდა ამისა, კურსი - შედეგი - შესრულების ინდიკატორის მატრიცის შემუშავება ადასტურებს სისტემატურ შესაბამისობას პროგრამის სწავლის შედეგებსა და სასწავლო გეგმის იმ კომპონენტებს შორის, რომლებიც უზრუნველყოფენ აღნიშნული სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნული მიდგომა შეესაბამება აკრედიტაციის პროცესებში რეკომენდებულ საუკეთესო პრაქტიკას, სადაც სწავლის შედეგები ფასდება მათ მიღწევაზე პასუხისმგებელი პროგრამის კომპონენტების მეშვეობით.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში შემუშავებულია თითოეული სწავლის შედეგის გასაზომად საჭირო შესრულების ინდიკატორები, არსებული რუბრიკა შედგენილია სწავლის შედეგისთვის და არა შესრულების ინდიკატორისთვის. შესაბამისად, რეკომენდებულია, საჭიროების შემთხვევაში შემუშავდეს რუბრიკა თითოეული შესრულების ინდიკატორისთვის. რუბრიკის ენა უნდა შეესაბამებოდეს შესრულების ინდიკატორს. მაგალითად, შესრულების ინდიკატორისთვის: „ავლენს კიბერუსაფრთხოების კომპლექსური პრობლემის ძირითად ელემენტებს და შეზღუდვებს“, რეკომენდებულია შემუშავდეს შემდეგი რუბრიკა:

დონე	აღმწერი	შესრულების აღწერა
------	---------	-------------------

4	—	ყოველმხრივი საუკეთესო: ლი გამოვლენა	სწორად ავლენს კიბერუსაფრთხოების პრობლემის ყველა ძირითად ელემენტს, მათ შორის სისტემის კომპონენტებს, საფრთხის აქტორებს, სისუსტეებს, შეტევის ვექტორებს, გარემო პირობებს და ოპერაციულ შეზღუდვებს (ტექნიკური, სამართლებრივი, ორგანიზაციული). აჩვენებს პრობლემის კონტექსტის და ელემენტებს შორის კავშირების ღრმა გააზრებას.
3	—	ადეკვატური კომპეტენტური: გამოვლენა	ავლენს კიბერუსაფრთხოების პრობლემის ძირითად ელემენტებს და მთავარი შეზღუდვების უმრავლესობას. აჩვენებს სისტემის კონტექსტის კარგ გააზრებას, თუმცა შეიძლება გამოტოვოს ზოგიერთი მეორეხარისხოვანი ელემენტი ან შეზღუდვა.
2	—	ნაწილობრივი განვითარებული: გამოვლენა	ავლენს კიბერუსაფრთხოების პრობლემის ზოგიერთ შესაბამის ელემენტს, თუმცა გამოტოვებს რამდენიმე მნიშვნელოვან კომპონენტს ან შეზღუდვას. პრობლემის კონტექსტის გააზრება არასრულია ან ზედაპირულია.
1	—	შეზღუდული საწყისი: გამოვლენა	ავლენს კიბერუსაფრთხოების პრობლემის მცირე რაოდენობას ან არასწორ ელემენტებს. აჩვენებს შესაბამისი შეზღუდვების და პრობლემის საერთო კონტექსტის მინიმალურ გააზრებას.

გარდა ამისა, პროგრამაში მკაფიოდ უნდა შეირჩეს კურს(ებ)ი, სადაც შეფასდება თითოეული შესრულების ინდიკატორი. ასევე, დანართ 1 - ში წარმოდგენილი შესაბამისობის მატრიცა არაზუსტია. მაგალითად, მე - 6 სწავლის შედეგი საწყისი ეტაპიდანვე მოიცავს „განმტკიცების“ დონეს (3), ხოლო „გაცნობის“ დონე (1) გამოტოვებულია. ზოგიერთი სწავლის შედეგი იწყება „გაღრმავებით“ (2) და შემდეგ სასწავლო გეგმაში, მოგვიანებით ეტაპზე ხდება მათი "გაცნობა". ასეთი უზუსტობები გამოიწვევს არასწორ შეფასებას და იქნება შეცდომაში შემყვანი. თუ შეფასების მექანიზმი შეესაბამება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიდგომას, ასეთ

შეთხვევაში საჭიროა ბრიტანული უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის გადამზადება და პირიქით.

პროგრამაში ასევე დადგენილია სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულები. მეთოდოლოგიის თანახმად, სწავლის შედეგი მიღწეულად ჩაითვლება, როდესაც სტუდენტების არანაკლებ 70% მიაღწევს დამაკმაყოფილებელ დონეს (დონე 3 ან უფრო მაღალი) თითოეული შესრულების ინდიკატორისთვის და სტუდენტების არანაკლებ 25% მიაღწევს შესრულების უფრო მაღალ დონეს (დონე 4 ან უფრო მაღალი). ასეთი რაოდენობრივი სამიზნე ნიშნულების არსებობა ადასტურებს, რომ პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია სტუდენტების მიღწევების შეფასების გაზომვადი სტანდარტები და უზრუნველყოფილია დროთა განმავლობაში სწავლის შედეგების მონიტორინგის განხორციელება.

შეფასების პროცესს კოორდინაციას უწევს თვითშეფასების გუნდი და ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი, რომლებიც ზედამხედველობენ შეფასების გეგმის განხორციელებას, აგროვებენ და აანალიზებენ მონაცემებს და სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ ამზადებენ შემაჯამებელ ანგარიშებს. პროგრამა მიჰყვება შეფასების წლიურ ციკლს, რომელიც მოიცავს დაგეგმვას, მონაცემთა შეგროვებას სემესტრის განმავლობაში, სემესტრის ბოლოს შედეგების ანალიზს და შეფასების ანგარიშების მომზადებას. შედეგები განიხილება პროგრამის თვითშეფასების გუნდის მიერ და გამოვლენილი ხარვეზების საფუძველზე ხორციელდება გამოსასწორებელი ქმედებები, როგორცაა სასწავლო გეგმის გადახედვა, ლაბორატორიო მუშაობის გაუმჯობესება, შეფასების რუბრიკების განახლება ან პროგრამის კომპონენტების სხვა ცვლილებები. აღნიშნული პროცესი ასახავს ხარისხის გაუმჯობესების უწყვეტობის პრინციპს, რომელიც წარმოადგენს აკრედიტაციის სტანდარტის ერთ - ერთი ძირითად მოთხოვნას.

პროგრამა ასევე აჩვენებს სწავლის შედეგების შეფასებაში გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. დამსაქმებლების უკუკავშირი, კურსდამთავრებულთა გამოკითხვები, პრაქტიკის შეფასებები და სამაგისტრო ნაშრომის გარე რეცენზენტები გამოიყენება არაპირდაპირი შეფასების მექანიზმებად. აღნიშნული მექანიზმები ამოწმებს თუ რამდენად შეესაბამება სტუდენტების მიერ შეძენილი კომპეტენციები შრომის ბაზრის და პროფესიული საზოგადოების მოლოდინებს.

გარდა ამისა, პროგრამა უზრუნველყოფს სწავლებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირებულობას შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ. სასწავლო კურსების განმახორციელებლები თითოეული სემესტრის დასაწყისში იღებენ ინფორმაციას შეფასებისთვის შერჩეული კურსების და შესაფასებელი სწავლის შედეგების შესახებ. მათ მიეწოდებათ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული შეფასების შაბლონები, რუბრიკები და სახელმძღვანელო მითითებები, რაც ხელს უწყობს შეფასების თანმიმდევრულობას.

პროგრამა ასევე ინარჩუნებს სტრუქტურირებულ დოკუმენტირების და ანგარიშების სისტემას. შეფასების მონაცემები, რუბრიკები, კურსის მტკიცებულებები და გაუმჯობესების ქმედებები ინახება შეფასების საცავში, ხოლო წლიური შეფასების ანგარიშებში შეჯამებულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა და დროთა განმავლობაში ტენდენციების გამოავლენა. აღნიშნული ანგარიშები წარმოადგენენ პროგრამის გაუმჯობესების და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების საფუძველს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- სასწავლო გეგმის რუკა;
- სამიზნე ნიშნულები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები.

- რეკომენდებულია, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული შესრულების ინდიკატორისთვის შემუშავდეს რუბრიკა. რუბრიკის ენა უნდა შეესაბამებოდეს შესრულების ინდიკატორს.
- რეკომენდებულია, მკაფიოდ შეირჩეს სასწავლო კურსები, რომლებიც გამოყენებული იქნება შესრულების ინდიკატორების შეფასებისას. საჭიროა მატრიცა აისახოს ფაილში "Cyb Map Eng" (დანართი 1).

- რეკომენდებულია, ორივე უნივერსიტეტმა გამოიყენოს უნიფიცირებული შეფასების მექანიზმი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	მეტწილად შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა შემუშავდა უნივერსიტეტში მოქმედი ინსტიტუციური რეგულაციების შესაბამისად, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მოდიფიცირებისა და გაუქმების წესისა და პროცედურების საფუძველზე. დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ პროგრამის შემუშავება განხორციელდა დადგენილი ინსტიტუციური მეთოდოლოგიის შესაბამისად და რომ მისი განვითარება პარტნიორი დაწესებულებების ერთობლივი კოორდინაციით წარიმართა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტების თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს განსაზღვრული მეთოდოლოგია, რომელიც ადგენს პროცედურებს, პასუხისმგებლობებსა და ეტაპებს პროგრამის შემუშავების პროცესში და უზრუნველყოფს შესაბამის დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობას.

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება პროგრამის შემუშავების პროცესის აღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობა, ვინაიდან პროგრამის სტრუქტურის, კონცეფციისა და პარტნიორობის შეთანხმების შემუშავებაში მონაწილე უნივერსიტეტების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი თანამშრომლობდა.

პროგრამა შემუშავებულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სახით, რომლის საერთო მოცულობა შეადგენს 120 ECTS კრედიტს და ხორციელდება ორი აკადემიური წლის განმავლობაში. აღნიშნული სტრუქტურა შეესაბამება ევროპული უმაღლესი განათლების სივრცეში მოქმედ მეორე საფეხურის უმაღლესი განათლების სტანდარტულ მოდელს, რომლის მიხედვითაც ერთი აკადემიური წელი, როგორც წესი, დაახლოებით 60 ECTS კრედიტს შეადგენს.

პროგრამა მოიცავს:

- ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს — 100 ECTS კრედიტი;
- სამაგისტრო ნაშრომს — 30 ECTS კრედიტი;
- არჩევით სასწავლო კურსებს — 20 ECTS კრედიტი.

მნიშვნელოვანი კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომის) პროგრამაში ინტეგრირება შეესაბამება სამაგისტრო დონის პროგრამების მიმართ არსებულ მოლოდინებს, რომლის ფარგლებში სტუდენტებს მოეთხოვებათ ანალიტიკური და კვლევითი კომპეტენციების განვითარება. შესაბამისად, პროგრამის საერთო მოცულობა, სირთულის ხარისხი და კვლევითი კომპონენტები შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურსა და შესაბამის საკვალიფიკაციო დონეს.

პროგრამის სტრუქტურა შემუშავებულია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე და შეესაბამება საქართველოში უმაღლესი

საგანმანათლებლო პროგრამების მარეგულირებელ შესაბამის საკანონმდებლო მოთხოვნებს. პროგრამის დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სასწავლო გეგმა და პროგრამის განხორციელების პროცესი შეესაბამება როგორც ეროვნულ რეგულაციებს, ისე პარტნიორი დაწესებულებების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებს.

ECTS-ის გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტების სასწავლო დატვირთვის გამჭვირვალობას, ხელს უწყობს სტუდენტების მობილობას და პროგრამის შესაბამისობაში მოყვანას ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის ჩარჩოსთან.

შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის ინდივიდუალურობას, განსაკუთრებით ორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მისი ერთობლივი განხორციელებისა და ორივე პარტნიორის ექსპერტიზის ინტეგრაციის გზით. ერთობლივი სწავლების მოდელი, რომელიც საშუალებას იძლევა, კურსები ორივე დაწესებულების კამპუსებში მათი შესაბამისი აკადემიური პერსონალის მიერ ისწავლებოდეს, პროგრამის გამორჩეულობას უწყობს ხელს.

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ლოგიკურად არის ორგანიზებული და შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი სასწავლო კურსები მიზნად ისახავს კიბერუსაფრთხოების სფეროს სპეციალისტისთვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარებას, ხოლო პროგრამა აერთიანებს როგორც თეორიულ ცოდნას, ისე პრაქტიკულ უნარებს. პროგრამის სტრუქტურა, როგორც ჩანს, ლოგიკურად არის ორგანიზებული, ხოლო სასწავლო კურსები დალაგებულია ისეთი თანამიმდევრობით, რომელიც ხელს უწყობს ცოდნისა და უნარების ეტაპობრივ განვითარებას. პროგრამის კომპონენტები ურთიერთკავშირშია, ხოლო მათი შინაარსი პროგრამის მიმდინარეობის განმავლობაში პროგრესულად ვითარდება.

ამასთანავე, სასწავლო კურსების წინაპირობები ლოგიკურად არის განსაზღვრული, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ სტუდენტებს უფრო მაღალ დონეზე გადასვლამდე გააჩნდეთ აუცილებელი საბაზისო ცოდნა. აღნიშნული თანამიმდევრული სტრუქტურა შეესაბამება EQE-ის მოლოდინს, რომლის მიხედვითაც პროგრამის კომპონენტები ლოგიკურად უნდა იყოს ორგანიზებული და თანმიმდევრულად სტრუქტურირებული.

სასწავლო გეგმა ეფუძნება დარგობრივ ნიშნულებს, უახლეს კვლევით მიგნებებსა და კიბერუსაფრთხოების სფეროში თანამედროვე მიღწევებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამაგისტრო პროგრამისთვის, სადაც სწავლება უნდა ასახავდეს დისციპლინის თანამედროვე განვითარებებს და ხელს უწყობდეს კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებას. პროგრამა მოიცავს ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობ კომპონენტებს. პროგრამის შემუშავების პროცესი განხორციელდა მონაწილე უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციული ერთეულების თანამშრომლობით. პროგრამა შემუშავდა შესაბამის დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით წარმართული თანამშრომლობითი პროცესის საფუძველზე. პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია ინსტიტუციური საკომუნიკაციო არხების მეშვეობით.

სასწავლო გეგმაში რამდენიმე საკითხი არ არის სრულად წარმოდგენილი; შესაბამისად, დარგობრივ ნიშნულთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს სავალდებულო სახით შემდეგი თემების დამატებას : კიბერდანაშაული, კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა და კიბერუსაფრთხოების გლობალური მმართველობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შექმნისა და შემუშავების მეთოდოლოგია და/ან წესი.
- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით;
- კურიკულუმის რუკა;
- ვებ-საიტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები.

- რეკომენდებულია, პროგრამას სავალდებულო სახით დაემატოს შემდეგი თემები: კიბერდანაშაული, კიბერპოლიტიკა და გლობალური კიბერუსაფრთხოების მართვა.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა შინაარსი	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან და

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თითოეული აკადემიური კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ეს თანხვედრა აისახება პროგრამის კომპეტენციის რუკაზე, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ უწყობს ხელს ცალკეული კურსები პროგრამის დონის სასწავლო შედეგების მიღწევას. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის სახელმძღვანელოს თანახმად, თითოეულმა სასწავლო კურსმა მკაფიოდ უნდა წარმოაჩინოს თავისი წვლილი პროგრამის ერთ ან რამდენიმე სწავლის შედეგის მიღწევაში სასწავლო გეგმის რუკირების ისეთი მექანიზმის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სტრუქტურის თანმიმდევრულობას.

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, თითოეული სასწავლო კურსი ხელს უწყობს პროგრამის სულ მცირე ერთი სწავლის შედეგის მიღწევას, ხოლო კურსის სწავლის შედეგები ფორმულირებულია კურსის თემატური შინაარსის გათვალისწინებით.

თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შემუშავებულია ამავე კურსისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგების შესაბამისად. სილაბუსები მოიცავს მკაფიოდ განსაზღვრულ თემატიკას, სწავლის შედეგებსა და შეფასების მექანიზმებს, რომლებიც შეესაბამება კურსის ფარგლებში განსავითარებელ მიზნობრივ კომპეტენციებს. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სახელმძღვანელო ხაზგასმით მიუთითებს, რომ სასწავლო კურსის შინაარსი უშუალოდ უნდა ემსახურებოდეს კურსის სწავლის შედეგების მიღწევას და, შესაბამისად, ხელს უნდა უწყობდეს პროგრამის სწავლის შედეგების რეალიზებას; წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სასწავლო კურსები აღნიშნულ პრინციპს შეესაბამება.

თითოეული სასწავლო კურსისთვის მინიჭებული ECTS კრედიტების რაოდენობა განსაზღვრულია კურსის შინაარსის, მოსალოდნელი სწავლის შედეგებისა და სტუდენტის დატვირთვის გათვალისწინებით. პროგრამის დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ თითოეული სასწავლო კურსისთვის კრედიტების განაწილების განსაზღვრისას გათვალისწინებულია როგორც საკონტაქტო საათები, ისე დამოუკიდებელი მუშაობისთვის განსაზღვრული საათები. პროგრამის დოკუმენტაციაში ასევე მითითებულია, რომ საკონტაქტო საათებსა და დამოუკიდებელი სწავლის საათებს შორის თანაფარდობა ასახავს თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკურ თავისებურებებს და ხელს უწყობს კურსის სწავლის შედეგების მიღწევას.

თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში განსაზღვრული სწავლის შედეგები ფასდება კურსის სილაბუსებში აღწერილი შეფასების კომპონენტების საფუძველზე. აღნიშნული კომპონენტები მოიცავს გამოცდებს, დავალებებსა და კურსის შეფასების სისტემით განსაზღვრულ სხვა შეფასების მექანიზმებს. წარმოდგენილი აღწერის საფუძველზე, პროგრამას სილაბუსებში გაწერილი აქვს სტრუქტურირებული შეფასების სისტემა. ამასთანავე, სილაბუსები მოიცავს თანამედროვე და განახლებულ ლიტერატურას, რომელიც შეესაბამება თითოეული სასწავლო კურსის შინაარსს და ასახავს კიბერუსაფრთხოების სფეროში მიმდინარე პროგრესს/განვითარებებს. მითითებული ლიტერატურა და სასწავლო რესურსები აღწერილია როგორც სასწავლო კურსის შინაარსთან რელევანტური და დაგეგმილ სწავლის შედეგებთან შესაბამისი. ლაბორატორიები აკმაყოფილებენ პროგრამის სასწავლო შედეგების მისაღწევად საჭირო მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- კურსების სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- გასაუბრებების შედეგები.
- საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო მასალები/რესურსები, საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზები, რომლებიც მითითებულია თანდართულ სასწავლო გეგმებში;

რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- დოკუმენტებში ზოგიერთი სასწავლო კურსის სახელწოდებები არათანმიმდევრულია, რაც სავარაუდოდ წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს დოკუმენტაციის მომზადებისას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	შეესაბამება

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კიბერუსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამაზე მიღება ხორციელდება ეროვნული კანონმდებლობისა და ინსტიტუციური რეგულაციების შესაბამისად. აპლიკანტს მოეთხოვება ფლობდეს ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს STEM მიმართულებით და წარმატებით ჩააბაროს როგორც ერთიანი სამაგისტრო გამოცდა, ისე დაწესებულების მიერ განსაზღვრული ინგლისური ენისა და პროფესიული ცოდნის შეფასების კომპონენტები.

მიღების პროცედურები საჯაროდ არის აღწერილი და ფორმალურად რეგულირებული. პროგრამის სწავლების ენა არის ინგლისური, ხოლო ენობრივი კომპეტენციის მოთხოვნები მკაფიოდ არის განსაზღვრული.

თუმცა, დოკუმენტაციის განხილვისა და ინტერვიუების დროს, ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა სტრუქტურული პრობლემა (უზუსტობა/საკითხი) მიღებული სტუდენტების აკადემიურ მომზადებასთან დაკავშირებით.

მიღების კრიტერიუმები ითვალისწინებს STEM-ის ზოგადი ცოდნის მქონე აპლიკანტების მიღებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფორმალური თვალსაზრისით მისაღებია, პროგრამის დოკუმენტაციაში მკაფიოდ არ არის განსაზღვრული

საფუძვლების ცოდნის/ პრერეკვიზიტების მინიმალური ზღვარი შემდეგ მიმართულებებში:

- პროგრამირება;
- ოპერაციული სისტემები;
- კომპიუტერული ქსელები;
- დისკრეტული მათემატიკა;
- კიბერუსაფრთხოების საფუძვლები.

ამასთანავე, პროგრამა არ ადასტურებს, რომ არაკომპიუტერული მეცნიერებების სფეროდან მომავალი კანდიდატებისთვის გათვალისწინებულია დამაკავშირებელი ან აკადემიური ნიველირების მექანიზმები. მკაფიოდ განსაზღვრული აკადემიური წინაპირობების ან

შემაჯავებელი მოსამზადებელი მოდულების არარსებობის შემთხვევაში, არსებობს სტრუქტურული რისკი, რომ მიღებულ სტუდენტებს შეიძლება არ ჰქონდეთ საჭირო ტექნიკური საფუძველი კიბერუსაფრთხოების მოწინავე კურსების წარმატებით გასავლელად.

იმის გათვალისწინებით, რომ სასწავლო გეგმა მოიცავს ტექნიკურად რთულ სასწავლო კურსებს, როგორცაა შეღწევადობის ტესტირება, მავნე პროგრამების ანალიზი, ინციდენტების გამოვლენა და აუდიტი, მყარი კომპიუტერული საფუძვლის არმქონე სტუდენტების მიღებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას პროგრამის სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევას. ამან ასევე შეიძლება გავლენა მოახდინოს პროგრამის უნარზე, თანმიმდევრულად უზრუნველყოს მე-7 დონის შესაბამისი აკადემიური სიღრმე, განსაკუთრებით იმ სასწავლო კურსებში, რომლებიც მოითხოვს განვითარებულ ანალიტიკურ მსჯელობასა და სისტემური დონის გაგებას.

გარდა ამისა, ტექნიკური კომპეტენციის სტრუქტურირებული დიაგნოსტიკური შეფასების არარსებობამ შესაძლოა გამოიწვიოს კოჰორტაში სტუდენტთა მზაობის არაერთგვაროვანი დონე. ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს სწავლების ეფექტურობაზე, მოითხოვოს დაუგეგმავი კორექტირება და პოტენციურად შეასუსტოს მაგისტრატურის დონეზე მოსალოდნელი აკადემიური სიმკაცრე.

კიბერუსაფრთხოების სპეციალიზებული სამაგისტრო პროგრამისთვის არსებითად მნიშვნელოვანია მინიმალური ტექნიკური კომპეტენციის მოთხოვნების მკაფიოდ განსაზღვრა და საჯაროდ კომუნიკაცია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — სტრუქტურირებული მოსამზადებელი გზების/მექანიზმების შეთავაზება, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ ყველა ჩარიცხულ სტუდენტს შეეძლოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

- რეკომენდებულია, პროგრამაში მკაფიოდ განისაზღვროს და ფორმალურად აისახოს მისაღები გამოცდისთვის მოთხოვნილი წინაპირობის მინიმალური კომპეტენციები, განსაკუთრებით კომპიუტერული მეცნიერებების ისეთ ძირითად სფეროებში, როგორებიცაა პროგრამირება, ოპერაციული სისტემები, კომპიუტერული ქსელები, დისკრეტული მათემატიკა და კიბერუსაფრთხოების საფუძვლები.
- პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებამ უნდა შეიმუშავოს და ფორმალურად დანერგოს გამაძლიერებელი ან მოსამზადებელი მექანიზმი იმ აბიტურიენტებისათვის, რომელთაც არ გააჩნიათ კომპიუტერული მეცნიერების წინარე ცოდნა.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, დაინერგოს სტრუქტურირებული დიაგნოსტიკური შეფასების მექანიზმი, იმისათვის, რომ შემოწმდეს აბიტურიენტების მომზადება მე-7 დონის განათლების მოთხოვნებისთვის.
- უნივერსიტეტებმა შესაძლოა განიხილონ პროგრამაზე დაშვების შეზღუდვა იმ აბიტურიენტებისათვის, რომელთაც გააჩნიათ ბაკალავრის ხარისხი კომპიუტერულ მეცნიერებში ან ეკვივალენტური აკადემიური მომზადება.
- სასურველია, პერიოდულად გადაიხედოს მისაღები გამოცდის შინაარსი სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონაცემების საფუძველზე, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს შესაბამისობას დაშვების კომპეტენციებს და პროგრამის მოთხოვნებს შორის.
- სასურველია, დაინერგოს ფორმალური აკადემიური საკონსულტაციო სესია ახლად ჩარიცხული სტუდენტებისთვის, იმისათვის, რომ შეფასდეს ინდივიდუალური მომზადება, რაც ხელს შეუწყობს შეუფერხებელ აკადემიურ ინტეგრაციას.
- სასურველია, მისაღები გამოცდა პირდაპირ შეესაბამებოდეს აღნიშნული წინაპირობის კომპეტენციებს და სტრუქტურირებული იყოს იმგვარად, რომ აფასებდეს კიბერუსაფრთხოების სპეციალიზაციის სასწავლო კურსებისთვის მზადყოფნას.
- სასურველია, დაშვების კრიტერიუმები და მოსალოდნელი კომპეტენციები საჯაროდ და მკაფიოდ იყოს ხელმისაწვდომი მომავალი აბიტურიენტებისთვის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
------------	----------

2.1. პროგრამაზე მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან დაშვების წინაპირობები

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კიბერუსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა ავლენს მკაფიო პრაქტიკულ ორიენტაციას, რაც შეესაბამება შესაბამისი სწავლის სფეროს სპეციფიკას. სასწავლო გეგმა მოიცავს ლაბორატორიულ კომპონენტზე ინტენსიურად დაფუძნებულ ტექნიკურ სასწავლო კურსებს, როგორცაა შედეგადობის ტესტირება, მანვე პროგრამების ანალიზი, შეჭრის გამოვლენა და აუდიტი, აგრეთვე ღრუბლოვანი უსაფრთხოება. ეს კურსები აერთიანებს გამოყენებით სავარჯიშოებს, სიმულირებულ თავდასხმის სცენარებს და კონტროლირებადი სისტემის ანალიზის ამოცანებს, რომლებიც შექმნილია პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში მყოფი პრაქტიკული კომპეტენციების გასავითარებლად.

ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა კიბერუსაფრთხოების ლაბორატორიული გარემო, რომელიც ფუნქციონირებს და სათანადოდ უზრუნველყოფს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებას.

პრაქტიკული უნარების გარდა, პროგრამა ასევე მოიცავს კვლევაზე ორიენტირებულ კომპონენტებს კვლევის მეთოდებისა და აკადემიური წერის სპეციალური სასწავლო კურსისა და 30 ECTS კრედიტის მოცულობის სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნის საშუალებით. აღნიშნული კომპონენტები ქმნის სამეცნიერო და ტრანსფერული უნარების განვითარების საფუძველს, მათ შორის კრიტიკული აზროვნების, პროფესიული კომუნიკაციისა და ეთიკური მსჯელობის მიმართულებით.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტს და ვიზიტის ფარგლებში აღწერილ იქნა სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცედურები, წარმოდგენილი დოკუმენტაციის პაკეტი არ მოიცავდა სამაგისტრო ნაშრომის ფორმალურად დამტკიცებულ სილაბუსს, სამეცნიერო ხელმძღვანელობის დეტალურ გზამკვლევს, აგრეთვე მკაფიოდ გაწერილ წერილობით რეგულაციებს, რომლებიც განსაზღვრავს კვლევასთან დაკავშირებულ მოლოდინებს, ორიგინალურობისა და ინოვაციურობის შეფასების კრიტერიუმებს, ასევე ხელმძღვანელსა და სტუდენტს შორის დასაშვები რაოდენობრივი თანაფარდობის ზღვარს.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია არაერთი აკადემიური პერსონალი, თუმცა ფორმალურად არ ყოფილა წარმოდგენილი მკაფიო დოკუმენტაცია, რომელიც აკავშირებს აკადემიური პერსონალის კვლევით სპეციალიზაციას სამაგისტრო ნაშრომის განსაზღვრულ თემატურ მიმართულებებთან.

იმის გათვალისწინებით, რომ აკადემიური პერსონალის მხოლოდ შეზღუდული ნაწილი ავლენს კიბერუსაფრთხოების სფეროსთან მკაფიოდ დაკავშირებულ ძლიერ კვლევით

პროფილს, არსებით მნიშვნელობას იძენს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სტრუქტურირებული განაწილება და აკადემიური დატვირთვის სათანადო რეგულირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები.

- რეკომენდებულია, ფორმალურად დამტკიცდეს და გამოქვეყნდეს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი და ხელმძღვანელობის სახელმძღვანელო მითითებები.
- რეკომენდებულია, პარტნიორ დაწესებულებებს შორის შემუშავდეს ერთობლივი კვლევის ხელმძღვანელობის მექანიზმი.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, ტექნიკური კურსების ფარგლებში დაინერგოს კვლევაზე დაფუძნებული მინი - პროექტები.
- სასურველია, წახალისებულ იქნეს სტუდენტების ინტეგრაცია აკადემიური პერსონალის მიმდინარე კვლევით პროექტებში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო ტრანსფერული განვითარება	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან და უნარების

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით.

სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კიბერუსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება სწავლებისა და სწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც, ზოგადად, შეესაბამება სწავლის სფეროს სპეციფიკას და თანხვედრაშია პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. პროგრამა აერთიანებს ლექციებს, ლაბორატორიულ სამუშაოებს, შემთხვევებზე დაფუძნებულ ანალიზს, პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას, დებატებს, დამოუკიდებელ მუშაობასა და საკონსულტაციო შეხვედრებს.

ტექნიკური სასწავლო კურსები მკაფიოდ ავლენს ლაბორატორიულ სწავლებაზე ორიენტირებულ მიდგომას, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, კონტროლირებად გარემოში პრაქტიკულად გამოიყენონ კიბერუსაფრთხოების ინსტრუმენტები და მეთოდოლოგიები. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პრაქტიკული კომპონენტები სათანადოდ არის ინტეგრირებული სასწავლო კურსების სტრუქტურაში, განსაკუთრებით ისეთ საგნებში, როგორცაა შედეგადობის ტესტირება, მავნე პროგრამების ანალიზი, შეჭრის გამოვლენა და ღრუბლოვანი უსაფრთხოება. აღნიშნული კომპონენტები ხელს უწყობს თანამედროვე კიბერუსაფრთხოების პრაქტიკისათვის რელევანტური გამოყენებითი კომპეტენციების განვითარებას.

მმართველობასთან, შესაბამისობის უზრუნველყოფასა და მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული სასწავლო კურსები უფრო მეტად ავლენს სტუდენტზე ორიენტირებულ და ანალიტიკურ სწავლების მიდგომებს. ესენია შემთხვევის კვლევები, სტრუქტურირებული დებატები, წერილობითი პოლიტიკის ანალიზი და აუდიტის სიმულაციები. აღნიშნული მეთოდები შესაფერისია ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის, მათ შორის კრიტიკული აზროვნების, პროფესიული კომუნიკაციისა და ეთიკური მსჯელობისთვის.

სწავლების მეთოდები სტრუქტურულ დონეზე შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.

არსებობს გარკვეული მიმართულებები, რომლებშიც მიზანშეწონილია შემდგომი დახვეწა/სრულყოფა:

პრაქტიკული დავალებები სათანადოდ არის შემუშავებული, თუმცა რამდენიმე ტექნიკურ სასწავლო კურსში სწავლების მიდგომა უპირატესად ოპერაციულ ხასიათს ატარებს. იმისათვის, რომ სწავლების პროცესი სრულად ასახავდეს სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებს, სასწავლო მეთოდები უფრო თანმიმდევრულად უნდა მოიცავდეს ანალიტიკურ სინთეზს, მეთოდოლოგიათა შედარებით შეფასებასა და ინოვაციაზე ორიენტირებულ დავალებებს. ტექნიკურ საგნებში კვლევაზე დაფუძნებული დავალებების ინტეგრაცია გაზრდიდა სწავლების აკადემიურ სიღრმეს.

სასწავლო გეგმაში სირთულის/კომპლექსურობის ზრდის ლოგიკა შესაძლოა უფრო მკაფიოდ იყოს წარმოჩენილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, ტექნიკურ კურსებში გაძლიერდეს კვლევაზე დაფუძნებული და ანალიტიკური დავალებების ინტეგრაცია, იმისათვის, რომ უკეთ აისახოს სამაგისტრო დონის მოთხოვნები.
- სასურველია, პროგრამას დაემატოს მოწინავე ინტეგრაციული პროექტები, რომლებიც მოითხოვენ კიბერუსაფრთხოების მრავალი სფეროს გაერთიანებას.
- სასურველია, ტექნიკურ სასწავლო კურსებში უფრო აქტიურად იყოს გათვალისწინებული შედარებითი ანალიზის ინსტრუმენტები, სტანდარტები და მეთოდოლოგიები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
------------	----------

2.3. სწავლება- შესაბამისობაშია
სწავლის
მეთოდები;

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კიბერუსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების შეფასება

ხორციელდება ეროვნული კანონმდებლობისა და ინსტიტუციური რეგულაციების შესაბამისად. შეფასების სისტემა ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებას და იყენებს 100-ქულიან შკალას მკაფიოდ განსაზღვრული დადებითი და უარყოფითი შეფასების დიაპაზონებით. შუალედური და საბოლოო შეფასებების მინიმალური გამსვლელი ზღვარი ცალსახად არის განსაზღვრული პროგრამის დოკუმენტაციაში.

კურსის სილაბუსები განსაზღვრავს შეფასების ფორმებს, შეფასების კრიტერიუმებს, კომპონენტების წონას და მინიმალური კომპეტენციის მოთხოვნებს. სტუდენტები შეფასების კრიტერიუმებს თითოეული კურსის დასაწყისში ეცნობიან. შეფასების სტრუქტურა მოიცავს მიმდინარე შეფასებას, შუალედურ გამოცდებს, დასკვნით გამოცდებს, ლაბორატორიულ სამუშაოებს, წერილობით დავალებებს და ნაშრომის დაცვას. პროგრამა განსაზღვრავს გამჭვირვალე შეფასების კატეგორიებს (A–F შკალა) და მკაფიოდ არეგულირებს დამატებითი გამოცდებისა და სააპელაციო საჩივრების პროცედურებს. FX შეფასების მიმღებ სტუდენტებს დადგენილი პროცედურების შესაბამისად ეძლევათ დამატებითი გამოცდის ჩაბარების უფლება. სააპელაციო / გასაჩივრების მექანიზმები აღწერილია და შეესაბამება / შესაბამისობაშია ინსტიტუციურ პოლიტიკას / თან.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება რეგულირდება ფორმალური დაცვის პროცედურით, რომელსაც ახორციელებს 5–7 წევრისგან შემდგარი საგამოცდო კომისია. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც მოიცავს კვლევის აქტუალობას, ლიტერატურის მიმოხილვას, მეთოდოლოგიის გამოყენებას,

შედეგების ანალიზს, დასკვნებსა და პრეზენტაციის ხარისხს. შეფასების პროცესი მოიცავს დოკუმენტირებულ ოქმებს. პროგრამაში ასევე დანერგილია სწავლის შედეგებზე დაფუძნებული შეფასების ჩარჩო, რომელიც შესრულების ინდიკატორებისა და რუბრიკებზე დაფუძნებული შეფასების გამოყენებას ითვალისწინებს. მიუხედავად იმისა, რომ 1– 2– 3 შედეგების რუკების ამოქმედება შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისთვის დამატებით მეთოდოლოგიურ დაზუსტებას მოითხოვს, ინდივიდუალური სტუდენტების შეფასება ხორციელდება მკაფიოდ განსაზღვრული, სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული შეფასების კრიტერიუმებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.4.სტუდენტების შეფასება:	შესაბამისობაშია

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან

საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ბრიტანული უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული კიბერუსაფრთხოების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შეფასების ფარგლებში, პანელმა შეისწავლა ორივე უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ახალია და ჯერ არ ჰყავს აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები, ინტერვიუები ჩატარდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ბრიტანეთის უნივერსიტეტის სხვა მიმდინარე პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

ინტერვიუებმა, დოკუმენტაციისა და უნივერსიტეტის ვებსაიტების ანალიზთან ერთად, აჩვენა, რომ ორივე უნივერსიტეტის სტუდენტები სარგებლობენ დამხმარე სერვისების ფართო სპექტრით. კიბერუსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში, პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს ორივე დაწესებულების მიერ შემოთავაზებული აქტივობებისა და მომსახურების სრული სპექტრის გამოყენება შეეძლება.

ინტერვიუების დროს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ სწავლის დასაწყისში ისინი ესწრებიან საორიენტაციო შეხვედრებს, სადაც უნივერსიტეტის წარმომადგენლები აცნობენ მათ სხვადასხვა სტუდენტურ სერვისებს და უხსნიან აკადემიური პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ საკითხებს. აკადემიური პერსონალის დასაქმების ხელშეკრულებები და სასწავლო პროგრამები მოიცავს საკონსულტაციო საათებს, რომლის დროსაც სტუდენტები იღებენ აუცილებელ და შესაბამის ინფორმაციას. გარდა ამისა, რეგულარულად იმართება შეხვედრები ბიბლიოთეკის რესურსების გამოყენების, კარიერული

განვითარების შესაძლებლობებისა და გაცვლითი პროგრამების შესახებ. ასევე, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ორივე უნივერსიტეტის საკონსულტაციო საათებით. გასაუბრების ფარგლებში მიღებული მიგნებები ადასტურებს, რომ ორივე უნივერსიტეტის პერსონალი სტუდენტთა საჭიროებებზე რეაგირების თვალსაზრისით მაღალი ერთგულებით გამოირჩევა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბრიტანული უნივერსიტეტის მიერ დანერგილ „მენტორობის სისტემას“. ჩარიცხვის შემდეგ თითოეულ სტუდენტს ენიშნება პირადი მენტორი, რომელთანაც იგი რეგულარულად მართავს შეხვედრებს კარიერული განვითარების, პირადი ინტერესების, საკონფერენციო თემების შერჩევის, პრობლემების გადაჭრის სტრატეგიებისა და სხვა დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით. ბრიტანული უნივერსიტეტის სტუდენტებმა ინტერვიუების დროს ხაზი გაუსვეს ამ სისტემის მნიშვნელობას და დადებითად შეაფასეს თავიანთი გამოცდილება. როგორც ბრიტანული უნივერსიტეტი, ასევე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აქტიურად უჭერენ მხარს სტუდენტების აკადემიურ პროცესში მაღალი ხარისხის ინტეგრაციას. ორივე დაწესებულებაში ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი სტუდენტების ყოველდღიურ საქმიანობაში. ასევე ხელმისაწვდომია სხვადასხვა სპორტული კლუბები, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღონ მათ ინდივიდუალურ ინტერესებთან შესაბამის აქტივობებში. აღნიშნული აქტივობების პარალელურად, უნივერსიტეტები უზრუნველყოფენ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მრავალფეროვან შესაძლებლობებს. ინტერვიუების დროს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა მიუთითეს, რომ მათ მონაწილეობა მიიღეს გაცვლით პროგრამებში იაპონიაში, გაერთიანებულ სამეფოში, ბუდაპეშტში, იტალიაში, ავსტრიაში და სხვა ქვეყნებში. სტუდენტები საერთაშორისო გაცვლითი შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულნი არიან სხვადასხვა პლატფორმის საშუალებით, რომელთა გამოყენებაც ეფექტიანად ხდება. სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ საგრანტო და კვლევით პროექტებში, მათ შორის Erasmus+, Horizon, NATO-ს ინიციატივებისა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში, ასევე სხვა მსგავს პროექტებში. ისინი ასევე მონაწილეობენ კონფერენციებში და მათი აკადემიური ნაშრომები გამოქვეყნებულია სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალში. გარდა ამისა, სტუდენტებმა განაცხადეს, რომ ისინი რეგულარულად იღებენ

ინფორმაციას დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ შეტყობინებებისა და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

ბრიტანეთის უნივერსიტეტში ვაჟა-ფშაველას ფონდი ფუნქციონირებს სტუდენტური ინიციატივების მხარდასაჭერად, სწავლის საფასურის ფინანსურ დახმარებასა და სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით. 2023–2024 სასწავლო წელს, ბრიტანული უნივერსიტეტის სტუდენტების ინიციატივით, დაარსდა ჟურნალი „BUG Tells“. ჟურნალის როგორც ვიზუალური, ასევე შინაარსობრივი კომპონენტები მთლიანად სტუდენტების მიერ არის შექმნილი. საჭიროების შემთხვევაში, ისინი მხარდაჭერას იღებენ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის ოფისიდან, ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტიდან. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ კიბერუსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, უნივერსიტეტები შეძლებენ სტუდენტებისთვის ყოვლისმომცველი და მრავალფეროვანი დამხმარე სერვისების მიწოდებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კიბერუსაფრთხოების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელების სახელმძღვანელო (პროექტი)
- სტუდენტების მონაწილეობა საგრანტო პროგრამებში
- კონფერენციებში სტუდენტების მონაწილეობის სტატისტიკა
- გამოქვეყნებული სტუდენტური სტატიები
- გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის სტატისტიკა
- მემორანდუმები საერთაშორისო უნივერსიტეტებთან
- მემორანდუმები დამსაქმებლებთან
- შეთანხმება ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის ოფისის წესდება
- დამსაქმებლებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის მემორანდუმები
- სტუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის წესდება
- სტუ-ს სპორტის, კულტურისა და სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულება
- კარიერული განვითარების დეპარტამენტის საქმიანობა
- აკადემიური პერსონალის ხელშეკრულების შაბლონი

- უნივერსიტეტის ვებსაიტები
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	შესაბამისობაშია

3.2. მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო პროგრამებზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ბრიტანული უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული კიბერუსაფრთხოების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შეფასების პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე, უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებები ფუნქციონირებენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულების თანახმად, მაგისტრატურის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული აკადემიური პერსონალი/ლექტორი, ემერიტუსი პროფესორი, ან დოქტორის ხარისხის მქონე მთავარი ან უფროსი მკვლევარი, რომელიც დაკავშირებულია სტუ-სთან აფილირებულ სამეცნიერო ინსტიტუტთან ან ცენტრთან. ნაშრომის ხელმძღვანელი ასევე შეიძლება იყოს სხვა დაწესებულების დოქტორის ხარისხის მფლობელი, იმ პირობით, რომ სტუ-სა და შესაბამის დაწესებულებას შორის არსებობს სათანადო ხელშეკრულება ან მემორანდუმი. ახლად ჩარიცხული მაგისტრანტებისთვის ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის შერჩევის ხელშეწყობის მიზნით, აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი აწყობს შეხვედრებს სტუდენტებსა და პოტენციურ ხელმძღვანელებს შორის. ხელმძღვანელები წარმოადგენენ სავარაუდო ნაშრომების სათაურებს, ხსნიან მათ აქტუალობას და გამოკვეთონ მათი კვლევის მიმართულებებს. სტუდენტებს უფლება აქვთ შესთავაზონ პირადი ინტერესის შესაბამისი თემები. ამ შეხვედრების საფუძველზე, სტუდენტები აკეთებენ არჩევანს და ოფიციალურ განაცხადს წარუდგენენ აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელს. ალტერნატიულად, სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ თემა და ხელმძღვანელი ფაკულტეტის ვებსაიტზე გამოქვეყნებული სიიდან და განაცხადი შეიტანონ შეხვედრაზე დასწრების გარეშე. დეპარტამენტის განხილვის შემდეგ, აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი დეკანატს წარუდგენს შერჩეული ხელმძღვანელებისა და სადისერტაციო თემების სიას, შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად. კიბერუსაფრთხოების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელების გზამკვლევის პროექტის თანახმად, ერთობლივი პროგრამის ფარგლებში ხელმძღვანელობა ხორციელდება პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ ერთობლივად დანიშნული სულ მცირე ორი ხელმძღვანელის მონაწილეობით (ერთი ხელმძღვანელი სტუ-დან, მეორე ხელმძღვანელი ბრიტანული უნივერსიტეტიდან). ეს მოდელი უზრუნველყოფს აკადემიური სტანდარტების თანხვედრას, ნაშრომის თემის ინტერდისციპლინურ შესაბამისობას და ერთიან ზედამხედველობას კვლევის ხარისხზე.

ნაშრომის თემა და ხელმძღვანელი, აკადემიური კალენდრის შესაბამისად, მტკიცდება პირველი სემესტრის განმავლობაში. დამტკიცების პროცედურები ხორციელდება ერთობლივად შეთანხმებული რეგულაციების შესაბამისად და მასში მონაწილეობენ

პარტნიორი დაწესებულებების პროგრამის ხელმძღვანელები და შესაბამისი აკადემიური სტრუქტურული ერთეულები. ნაშრომის დაცვა ტარდება ერთობლივი დაცვის კომიტეტის წინაშე, რომელიც შედგება ორივე პარტნიორი უნივერსიტეტის წარმომადგენლებისგან. კომიტეტის შემადგენლობა და დაცვის პროცედურები მტკიცდება მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით.

მიუხედავად იმისა, რომ გზამკვლევის პროექტი არ აკონკრეტებს სამეცნიერო ხელმძღვანელის ზუსტ უფლებებსა და მოვალეობებს, სტუ-ს მაგისტრატურის დებულება ითვალისწინებს, რომ ხელმძღვანელი ვალდებულია ხელმძღვანელობა გაუწიოს ნაშრომის მომზადების პროცესს, უზრუნველყოს კონსულტაციები ლიტერატურის მოძიებასა და მიმოხილვასთან, მეთოდოლოგიის შემუშავებასთან, შედეგების ანალიზთან, სამუშაო გეგმისა და გრაფიკის მომზადებასთან, დაცვის პროცედურებთან და ყველა სხვა საჭირო საკითხთან დაკავშირებით. ინტერვიუების დროს ორივე უნივერსიტეტის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ მათ ჰქონდათ უწყვეტი კონსულტაციები თავიანთ ხელმძღვანელებთან და ამ მხრივ რაიმე სირთულე არ შეხვედრიათ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა და ხელმძღვანელთა თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით კონკრეტულ ინფორმაციას არ იძლევა არც მაგისტრატურის დებულება და არც ერთობლივი პროგრამის განხორციელების გზამკვლევი პროექტი.

ინტერვიუების დროს პროგრამის ხელმძღვანებმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელს უფლება აქვს ერთდროულად უხელმძღვანელოს აქტიური სტატუსის მქონე ორ მაგისტრანტს, რაც დასტურდება აკადემიური პერსონალის ხელშეკრულების ნიმუშებითაც. უნივერსიტეტებმა ასევე წარმოადგინეს ინფორმაცია ერთობლივი პროგრამის სამაგისტრო ნაშრომების პოტენციური ხელმძღვანელების შესახებ, რაც მიუთითებს, რომ პოტენციურ ხელმძღვანელად განიხილება სტუ-ს 10 აკადემიური პერსონალი, რომელთაგან ორს არ აქვს დოქტორის ხარისხი. ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ეფექტური ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია ერთობლივი სამაგისტრო პროგრამებისთვის სპეციფიკური რეგულაციის შემუშავება. ეს რეგულაცია მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს ხელმძღვანელების/ თანახელმძღვანელების შერჩევას, დანიშვნისა და შეცვლის პროცედურებს, გამოკვეთდეს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, ადგენდეს ხელმძღვანელისა

და სტუდენტის თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და არეგულირებდეს ყველა სხვა შესაბამისი ასპექტს.

ინტერვიუებმა ასევე გამოავლინა, რომ დაწესებულებები განუწყვეტლივ მუშაობენ ნაშრომის ხელმძღვანელობის ხარისხის შეფასების მექანიზმებზე, რითაც უზრუნველყოფენ ხელმძღვანელობის პროცესის ეფექტურ განხორციელებას და შემდგომ განვითარებას. ამას ადასტურებს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები, ისევე როგორც უნივერსიტეტების მიერ წარმოდგენილი კვლევის შედეგები.

მაგისტრანტების დაკავშირებული მონაცემები		ხელმძღვანელობასთან
სამაგისტრო ნაშრომების	რაოდენობა	10
მაგისტრანტთა	რაოდენობა	50
სამაგისტრო ნაშრომების	ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	0,2

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულება
- სამაგისტრო ნაშრომის ფორმატირების ინსტრუქცია
- კიბერუსაფრთხოების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელების გზამკვლევის პროექტი (სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და შპს ბრიტანული უნივერსიტეტი)
- კვლევითი კომპონენტის შეფასება - მაგისტრანტებისა და დოქტორანტების სემესტრული გამოკითხვის ანგარიში
- აკადემიური პერსონალის რეზიუმეები
- კიბერუსაფრთხოების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები.

- რეკომენდებულია, ერთობლივი სამაგისტრო პროგრამისთვის შემუშავდეს რეგულაცია, რომელშიც ამომწურავად იქნება განსაზღვრული ხელმძღვანელების / თანახელმძღვანელების შერჩევის, დანიშვნის და შეცვლის პროცედურები, მათი უფლებები და მოვალეობები, ხელმძღვანელის და სტუდენტის თანაფარდობის განსაზღვრის გამჭვირვალე მეთოდოლოგია და პროგრამის ეფექტური განხორციელებისთვის საჭირო ყველა სხვა შესაბამისი ასპექტი.
- რეკომენდებულია, განისაზღვროს ხელმძღვანელის მაქსიმალური სამუშაო დატვირთვა და ხელმძღვანელის და სტუდენტის თანაფარდობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.2. მაგისტრანტების ხელმძღვანელობა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამას ახორციელებენ კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათ შორის 8 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი და 4 ასისტენტ-პროფესორი. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური პერსონალის სხვადასხვა თანამდებობაზე დაქირავების კონკრეტული რეგულაციები, სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული მათი უფლებები, მოვალეობები და შეფასების პროცედურები. ორივე პარტნიორი უნივერსიტეტის მიერ მიღებული რეგულაციების თანახმად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მუშაობა ფასდება ყოველწლიურად. ეს შეფასება, მათი აკადემიური თანამდებობისა და სახელმწიფო ვალდებულებების შესაბამისად, განსაზღვრავს მათ სწავლებისა და კვლევით პასუხისმგებლობებს.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოვალეობები მოიცავს პროგრამის შემუშავებასა და უწყვეტ გაუმჯობესებაში აქტიურ მონაწილეობას, ასევე სტუდენტებისთვის კონსულტაციისა და აკადემიური მხარდაჭერის გაწევას. ეს პასუხისმგებლობები რეგულირდება ინსტიტუციური პოლიტიკითა და ოფიციალური დასაქმების კონტრაქტებით.

პროგრამაში ასევე მონაწილეობენ ბრიტანული უნივერსიტეტის 1 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი, და 1 ასისტენტ-პროფესორი, რომელთაგან ყველა აფილირებულია თავის დაწესებულებასთან. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან პროგრამაში 10 წარმომადგენელი მონაწილეობს: 7 პროფესორი და 3 ასისტენტ-პროფესორი, რომლებიც ოფიციალურად არიან აფილირებულნი უნივერსიტეტთან.

პროგრამის ხელმძღვანელები, დადგენილი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მეშვეობით, კოორდინაციას უწევენ განვითარებისა და გაუმჯობესების პროცესებს. მათი მოვალეობები განსაზღვრულია ოფიციალურ კონტრაქტებში და დამტკიცებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა გამოითვლება დაწესებულების სამუშაო დატვირთვის დებულების შესაბამისად. გაანგარიშებისას გათვალისწინებულია სასწავლო საათები, კვლევითი აქტივობები და სხვა აკადემიური მოვალეობები. გარდა ამისა, დაწესებულება ითვალისწინებს პერსონალის აკადემიურ დატვირთვას სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რათა უზრუნველყოს, რომ საერთო დატვირთვა დაბალანსებული და თავსებადი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტურ განხორციელებასთან.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელოვნური ინტელექტის დეპარტამენტის პროგრამის ხელმძღვანელი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მფლობელია და ამჟამად არის განათლების მეცნიერების დოქტორანტი. იგი 40-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციისა და 4 წიგნის ავტორია და პროფესიული განვითარების აქტივობები გავლილი აქვს მაგდებურგის უნივერსიტეტსა (2021წ.) და ზაარბრიუკენის უნივერსიტეტში (2022წ.). პროგრამის თანახმად ხელმძღვანელი არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი. მას აქვს ტექნიკურ

მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი და დაახლოებით 100 სამეცნიერო ნაშრომისა და 14 წიგნის ავტორია.

საერთო ჯამში, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვს სამეცნიერო და სასწავლო პოტენციალი, ხოლო მათი რაოდენობა და სამუშაო დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით განხორციელებას და სასწავლო პროცესის ეფექტურ მართვას. თუმცა, შემდგომი გაუმჯობესების საჭიროება ეხება აკადემიური კვალიფიკაციისა და ექსპერტიზის გაძლიერებას, კერძოდ, კიბერუსაფრთხოების სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამას აქვს მყარი აკადემიური საფუძველი დაკავშირებულ ტექნოლოგიურ სფეროებში, პერსონალის ამჟამინდელი შემადგენლობა მიუთითებს იმ პერსონალის შეზღუდულ რაოდენობაზე, რომლებსაც აქვთ სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება კიბერუსაფრთხოების სფეროში. ამ სფეროს სტრატეგიული მნიშვნელობისა და სწრაფად განვითარებადი ხასიათის გათვალისწინებით, სასურველია, რომ პროგრამას მხარს უჭერდეს აკადემიური პერსონალი, რომელსაც გააჩნია ღრმა თეორიული ცოდნა, აქტიური კვლევითი ჩართულობა და პრაქტიკული გამოცდილება კიბერუსაფრთხოების სფეროში, მათ შორის შესაბამის პროექტებში მონაწილეობა, გამოყენებითი კვლევა და ინდუსტრიასთან თანამშრომლობა.

გარდა ამისა, ასისტენტ და ასოცირებული პროფესორების კვლევითი პოტენციალი, განსაკუთრებით კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებულ თემებში, სასურველია შემდგომი გაძლიერება. მათი სამეცნიერო პუბლიკაციების, კვლევითი საქმიანობისა და საერთაშორისო თანამშრომლობებში ჩართულობის გაზრდა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროგრამის აკადემიური პროფილის გაძლიერებას და მისი გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁵	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
--------------------------------------------------------------------------------------------------	-----------------------------------------	---------------------------------------------	----------------------------------------------------------------------------------	---------------------------------------------

⁵ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

სულ აკადემიური პერსონალი	14	14	8	14
- პროფესორი	8	8	8	8
- ასოცირებული პროფესორი	2	2	1	2
- ასისტენტ-პროფესორი	4	4	4	4
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	0	0	0	0
სამეცნიერო პერსონალი	8	0	0	0
საერთაშორისო პერსონალის ჩათვლით	1	1	1	0

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის დაქირავების ერთიანი წესი;
- პერსონალის დოკუმენტაცია;
- პროგრამის დოკუმენტაცია;
- კონტრაქტები;
- ინტერვიუების შედეგები;

რეკომენდაციები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია,, უნივერსიტეტებმა გააუმჯობესონ აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია კიბერუსაფრთხოების სფეროში, კერძოდ დაიქირავონ და განავითარონ სპეციალისტები, რომლებსაც გააჩნიათ აღნიშნულ დარგში ძლიერი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
-------------------	-----------------

4.1 ადამიანური შესაბამისობაშია მოთხოვნებთან რესურსები

4.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თითოეულ მაგისტრანტს ენიშნება კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს ტექნოლოგიების სფეროში შესაბამისი კვლევითი გამოცდილება. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მკაფიოდ განსაზღვრავს ხელმძღვანელების უფლებებსა და მოვალეობებს. ხელმძღვანელები შეიძლება იყვნენ პროფესორები, ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ-პროფესორები, დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული ლექტორები, ემერიტუსი პროფესორები ან უნივერსიტეტთან აფილირებული სამეცნიერო ინსტიტუტების უფროსი მკვლევრები. ხელმძღვანელი ასევე შეიძლება წარმოადგენდეს სხვა დაწესებულებას, თუ მხარეებს შორის არსებობს ფორმალური ხელშეკრულება.

სასწავლო პროცესის დასაწყისში ხელმძღვანელი და სტუდენტი ერთობლივად ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო და კვლევით გეგმას, რომელიც მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის სათაურს, შერჩეულ კურსებს და დაგეგმილ კვლევით აქტივობებს. ხელმძღვანელი უზრუნველყოფს უწყვეტ აკადემიურ ხელმძღვანელობას მთელი კვლევის პროცესის განმავლობაში და ეხმარება სტუდენტს ნაშრომის დასაცავად მომზადებაში.

კვლევითი თემისა და ხელმძღვანელის შერჩევის გასამარტივებლად, დეპარტამენტი აწყოფს მაგისტრანტთა შეხვედრებს პოტენციურ ხელმძღვანელებთან. ამ შეხვედრების დროს აკადემიური პერსონალი წარმოადგენს შეთავაზებულ კვლევით თემებს, განმარტავს მათ აქტუალობას და აცნობს თავიანთ კვლევით ინტერესებს. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ საკუთარი კვლევითი იდეების შეთავაზება. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, სტუდენტები ოფიციალურად მიმართავენ დეპარტამენტის ხელმძღვანელს. გარდა ამისა, მათ შეუძლიათ აირჩიონ თემა და ხელმძღვანელი ფაკულტეტის ოფიციალურ ვებსაიტზე გამოქვეყნებული სიიდან. სტუდენტებს უფლება აქვთ, საჭიროების შემთხვევაში, შეცვალონ ხელმძღვანელი ან დაინიშნონ თანახელმძღვანელი.

ხელმძღვანელები სტუდენტებს წარმართავენ კვლევის ჩატარებასა და სამაგისტრო ნაშრომების მომზადებაში, ამასთანავე, ხელს უწყობენ მათ ინტეგრაციას ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით საზოგადოებებში. ისინი ეხმარებიან სტუდენტებს სამეცნიერო სტატიების მომზადებაში რეცენზირებად ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად და ხელს უწყობენ აკადემიურ კონფერენციებსა და კვლევით ღონისძიებებში მონაწილეობაში. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში აქტიურად არის ჩართულნი

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სხვადასხვა სფეროს კვლევით საქმიანობაში.

ამ პროგრამის ფარგლებში, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის უფლების მქონე აკადემიური პერსონალის ამჟამინდელი რაოდენობა კითხვებს ბადებს შესაძლებლობების კუთხით. პროგრამა გეგმავს 50 სტუდენტის ჩარიცხვას, მაშინ როცა მხოლოდ 10 აკადემიურ პერსონალს აქვს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის უფლებამოსილება. ინტერვიუების დროს მიღებული ინფორმაციის თანახმად, თითოეულ აკადემიურ პერსონალს შეუძლია ხელმძღვანელობა გაუწიოს მაქსიმუმ ორ მაგისტრანტს. შესაბამისად, არსებული შესაძლებლობები მხოლოდ 20 სტუდენტის ხელმძღვანელობის საშუალებას იძლევა, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია დაგეგმილ მიღებაზე. აქედან გამომდინარე, კვალიფიციური სამეცნიერო პერსონალის რაოდენობის პროგნოზირებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სასურველია გაიზარდოს, განსაკუთრებით კიბერუსაფრთხოების სფეროში, სადაც სპეციალიზებული ექსპერტიზა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროგრამის განვითარებისთვის.

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობისთვის კვალიფიციური 10 აკადემიური პერსონალიდან მხოლოდ 8- ს აქვს დოქტორის ხარისხი. პროგრამის აკადემიური დონისა და სტუდენტების დაგეგმილი მიღების გათვალისწინებით, სასურველია დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის წილის გაზრდა, რათა უზრუნველყოფილი იყოს უფრო ძლიერი სამეცნიერო ხელმძღვანელობა და შენარჩუნდეს აკადემიური სტანდარტები.

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	10	7	7
- პროფესორი	7	7	7
- ასოცირებული პროფესორი	1	1	1
- ასისტენტ-პროფესორი	2	2	2
მოწვეული პერსონალი	0	0	0
სამეცნიერო პერსონალი	8	7	7

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასება;
- კურსის ინსტრუქტორები;
- პერსონალის დოკუმენტაცია;
- სამაგისტრო პროგრამის დებულება;
- ინტერვიუების შედეგები;

რეკომენდაციები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, უნივერსიტეტებმა გაზარდონ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის უფლების მქონე კვალიფიციური აკადემიური პერსონალის რაოდენობა, განსაკუთრებით კიბერუსაფრთხოების სფეროში და გააძლიერონ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალის ჩართულობა, იმისათვის, რომ მომავალი სტუდენტები უზრუნველყონ სათანადო სამეცნიერო ხელმძღვანელობის შესაძლებლობით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- ➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტებმა დანერგეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს როგორც სემესტრულ, ასევე წლიურ შეფასებებს. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პერსონალის მუშაობის შეფასება ეფუძნება ყოველწლიურ სამეცნიერო ანგარიშგების სისტემას, ფაკულტეტის დონის მიმოხილვებს და პროფესიული და კვლევითი პოტენციალის შეფასებებს.

პროფესიული განვითარების მხარდასაჭერად, ორივე უნივერსიტეტი ახორციელებს ფართო სპექტრის აქტივობებს, მათ შორის ტრენინგებს თანამედროვე სწავლებისა და სწავლის მეთოდოლოგიებში, შეფასების სისტემებში, აკადემიურ კეთილსინდისიერებასა და განათლებაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაში. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პროფესიული განვითარების ცენტრი, რომლის მიზანია პერსონალის კომპეტენციების გაძლიერება, ხოლო ბრიტანული უნივერსიტეტი ხელს უწყობს სწავლების ხარისხს საერთაშორისო პარტნიორობისა და გამოცდილების გაზიარების სემინარების მეშვეობით. აკადემიური პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში, მობილობის პროგრამებში (მათ შორის Erasmus+), პარტნიორულ ღონისძიებებსა და მასტერკლასებში.

პროგრამის პროფილის კიდევ უფრო გასაძლიერებლად მნიშვნელოვანია, უფრო მეტი აქცენტი გაკეთდეს კიბერუსაფრთხოების სფეროში აკადემიური და კვლევითი საქმიანობის გაფართოებაზე. ეს მოიცავს კიბერუსაფრთხოებისადმი მიძღვნილ მაღალი გავლენის მქონე, რეცენზირებად ჟურნალებში პუბლიკაციების რაოდენობის გაზრდას, ამ სფეროში სპეციალიზებულ საერთაშორისო კონფერენციებსა და სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობის გაძლიერებას, აკადემიური მობილობისა და კიბერუსაფრთხოების თემებზე ორიენტირებული კვლევითი გაცვლების ხელშეწყობას, ასევე მიზნობრივი ვორქშოპების, სემინარებისა და ტრენინგების ორგანიზებას, რომლებიც მიმართულია ისეთი თანამედროვე გამოწვევებისკენ, როგორცაა კიბერთავდაცვა, მონაცემთა დაცვა და ინფორმაციული უსაფრთხოების მართვა. საერთაშორისო კვლევით ცენტრებთან, ინდუსტრიულ პარტნიორებთან და კიბერუსაფრთხოების ლაბორატორიებთან თანამშრომლობის გაძლიერება ასევე ხელს შეუწყობს პრაქტიკული ექსპერტიზის აკადემიურ კვლევასთან ინტეგრირებას და ამ სტრატეგიულ სფეროში კვლევის შედეგების ხილვადობისა და გავლენის გაზრდას.

ბრიტანულმა უნივერსიტეტმა დააარსა „მოწინავე კვლევისა და პოლიტიკის განვითარების ინსტიტუტი“, რომელიც ადმინისტრირებას უწევს შიდა საგრანტო კონკურსებს, შეიმუშავებს პერსონალის ინდივიდუალურ კვლევით გეგმებს და აკონტროლებს მათ განხორციელებას. უნივერსიტეტი ასევე ახორციელებს შიდა გრანტების დაფინანსების სქემას, რომელიც ხელს უწყობს როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე სტუდენტების ჩართულობას კვლევით საქმიანობაში. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში განვითარებულია საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურა, მათ შორის კვლევითი ინსტიტუტები, ლაბორატორიები და ბიბლიოთეკები, რაც ქმნის შესაბამის გარემოს კვლევის ჩასატარებლად

და დარგობრივი ინიციატივების გასაფართოებლად, მათ შორის კიბერუსაფრთხოების სფეროში.

საერთაშორისო თანამშრომლობა ორივე უნივერსიტეტისთვის რჩება მთავარ სტრატეგიულ პრიორიტეტად. უცხოურ უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობა მოიცავს გაცვლით პროგრამებს, ერთობლივ კვლევით პროექტებს და საერთაშორისო კონფერენციების თანაორგანიზებას. ამ პარტნიორობების გაფართოება კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული კვლევით ქსელებზე, ერთობლივ პუბლიკაციებსა და თემატურ ღონისძიებებზე უფრო ძლიერი ფოკუსირებით კიდევ უფრო გააძლიერებს ინტერნაციონალიზაციას და ამ სფეროში კვლევის შედეგების გლობალურ აღიარებას.

საერთო ჯამში, არსებული მექანიზმები უზრუნველყოფს პერსონალის მუშაობის შეფასების, უწყვეტი პროფესიული განვითარების, კვლევითი შესაძლებლობების განვითარებისა და საერთაშორისო ინტეგრაციისადმი სისტემურ მიდგომას. ამავდროულად, კიბერუსაფრთხოების სფეროში მიზანმიმართული აკადემიური და კვლევითი აქტივობების გაზრდა კიდევ უფრო გააუმჯობესებს პროგრამის ხარისხს, გააძლიერებს მის სტრატეგიულ ორიენტაციას და ხელს შეუწყობს აკადემიური პერსონალის პროფესიულ ზრდას ამ სწრაფად განვითარებად და მაღალი მოთხოვნის მქონე სფეროში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასება;
- კურსის ინსტრუქტორები;
- პერსონალის დოკუმენტაცია;
- საგანმანათლებლო პროგრამა
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები.

- არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის ფარგლებში გაძლიერდეს აკადემიური და კვლევითი საქმიანობა კიბერუსაფრთხოების სფეროში, მათ შორის გაიზარდოს პუბლიკაციების რაოდენობა საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში, სპეციალიზებულ კონფერენციებში მონაწილეობა, აკადემიური მობილობა და ორგანიზებულ იქნეს მიზნობრივი სემინარები და სასწავლო ტრენინგები.

- სასურველია, ბრიტანულ უნივერსიტეტში გაიზარდოს დარგის შესაბამისი აქტივობები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ორივე პარტნიორი უნივერსიტეტი ადასტურებს და იღებს ვალდებულებას, სრულად დააკმაყოფილოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე მოთხოვნები. ბრიტანულ უნივერსიტეტში ბიბლიოთეკის ფონდი აღჭურვილია პროგრამისთვის საჭირო ლიტერატურით, როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ფორმატით (დაახლოებით 1200 რესურსი). უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ელექტრონულ კატალოგს, სამკითხველო დარბაზს, წიგნების დაჯავშნის სერვისს და ბიბლიოთეკათმორისი სესხების სერვისებს. სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ წვდომა საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე (მათ შორის Cambridge, SAGE, Edward Elgar და სხვა), ასევე სწავლის მართვის სისტემაზე (Canvas). უნივერსიტეტს მხარს უჭერს თანამედროვე ინფრასტრუქტურა, მათ შორის შესაბამისი აკადემიური და ადმინისტრაციული სივრცეები, IT ინფრასტრუქტურა და უსაფრთხოების სისტემები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მატერიალურ- ტექნიკური ბაზა რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს თანამედროვე ლაბორატორიები, მათ შორის 19 სასწავლო-კვლევითი და 16 კომპიუტერული ლაბორატორია (340 სამუშაო სადგური), სპეციალიზებული კვლევითი ინსტიტუტები, FabLab და საერთაშორისოდ აკრედიტებული ლაბორატორიები. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას 150 000- ზე მეტ ციფრულ რესურსსა და საერთაშორისო მონაცემთა ბაზებზე (მათ შორის Elsevier-ისა და სხვა). პარტნიორობის ფარგლებში შეიქმნა თანამედროვე ხელოვნური ინტელექტისა და კიბერუსაფრთხოების ლაბორატორია, განახლდა ტექნიკური აღჭურვილობა და შეძენილია საერთაშორისო გამომცემლების აკადემიური და კვლევითი რესურსები. საერთო ჯამში, არსებული ინფრასტრუქტურა და რესურსები უზრუნველყოფს სწავლებისა და კვლევითი პროცესების ეფექტურ განხორციელებას, ხელს უწყობს სტუდენტების პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას და პროგრამის მაღალი ხარისხით მიწოდებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასება;
- საგანმანათლებლო პროგრამა
- ბიბლიოთეკის, მატერიალური, საინფორმაციო და ციფრული რესურსები და მათი საკუთრების/ ლიცენზიის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზებზე წვდომის გამოყენების ინდიკატორები;
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები.

- არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.4 მატერიალური რესურსები	შესაბამისობაშია

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის ბიუჯეტი შედგენილია ბრიტანული უნივერსიტეტის ფინანსური მენეჯმენტისა და კონტროლის პოლიტიკის შესაბამისად. ბიუჯეტი მომზადებულია 2 წლისათვის, წელიწადში ოპტიმალური სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით - 30 ქართველი და 20 საერთაშორისო სტუდენტი.

შესაბამისად, 1 065 000 ლარის ოდენობის სავარაუდო ბიუჯეტი გამომდინარეობს პროგრამის შემოსავლებიდან. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის რაოდენობა არ იქნება საკმარისი დანახარჯების დასაკმაყოფილებლად, ბრიტანული უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სარეზერვო სახსრების გამოყოფას, რათა პროგრამა განხორციელდეს ნაკლები სტუდენტით.

პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ ხარჯებს. პირდაპირი ხარჯები მოიცავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელფასებს და სხვა დაკავშირებულ სასწავლო ხარჯებს - სულ 110 664 ლარი, CISSP გამოცდისთვის გამოყოფილ თანხებს (150 000 ლარი) და სასწავლო მასალების ხარჯებს (30 000 ლარი). დანარჩენ ხარჯებში შედის ინტერნაციონალიზაცია (45 000 ლარი) და კვლევისა და განვითარების ხარჯები (30 000 ლარი). ბიუჯეტით ასევე გათვალისწინებულია პროგრამის აკრედიტაციისა და სხვა არაპირდაპირი ხარჯები. საერთო ჯამში, 50 სტუდენტიანი პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც დაახლოებით 637 082 ლარს შეადგენს, მომგებიანი ჩანს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად განხორციელებადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებსა და მოთხოვნებს. სარეზერვო ფონდი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობასა და განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის ბიუჯეტი
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწყევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კიბერუსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამას ერთობლივად ადმინისტრირებენ ბრიტანული უნივერსიტეტი და სტუ. შესაბამისად, პროგრამის ხარისხის შეფასება გამარტივებულია პროგრამის განხორციელების ხელშეკრულებით განსაზღვრული ხარისხის უზრუნველყოფისადმი ინსტიტუციებს შორისი მიდგომით.

საქართველოში ბრიტანული უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები განისაზღვრება და რეგულირდება „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით“, რაც მოიცავს: საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებას, მომსახურებისა და რესურსების შეფასებას, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებას, კვლევითი და სხვა აქტივობების შეფასებას, ორგანიზაციული მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასებას, უნივერსიტეტის მიერ საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილის შეფასებას. გარდა ამისა, სტუ- ში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები განისაზღვრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით. შიდა ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობის სისტემურ შეფასებას, სასწავლო გეგმების, მომსახურებისა და რესურსების შეფასებას, პროფესიული განვითარების ხარისხის შეფასებას და ხელს უწყობს უწყვეტ გაუმჯობესებას რეკომენდაციებისა და დასკვნების მეშვეობით.

საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით, ორივე უნივერსიტეტმა შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შესწორებების შეტანისა და გაუქმების წესი, რომელიც განსაზღვრავს შეფასების ინსტრუმენტებს, შეფასების არეალს და პერიოდულობას. იგივე მიდგომაა შემუშავებული დაწესებულებების მიერ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ყველა შეფასების მექანიზმთან დაკავშირებით. საგანმანათლებლო

პროგრამები ექვემდებარება პერიოდულ მონიტორინგს/ შეფასებას. ამგვარად, შიდა ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს სასწავლო გეგმების, სერვისებისა და რესურსების სისტემურ კვლევებსა და შეფასებებს.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა დაფუძნებულია „დაგეგმე-განახორციელებ-შეამოწმე-იმოქმედე“ (PDCA) პრინციპზე. პროცესი გულისხმობს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას საგანმანათლებლო საქმიანობისა და პროგრამის შესაძლებლობების განვითარების პროცესში, რადგან ორივე დაწესებულება პრიორიტეტს ანიჭებს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობას შიდა ხარისხის შეფასების პროცესში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებისა და სააკრედიტაციო ვიზიტისას გამოვლენილი მიგნებების თანახმად, აკრედიტაციის ჯგუფი ადგენს, რომ პროგრამის შეფასება თანმიმდევრულია და შეფასების შედეგები, როგორც წესი, გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლები თანამშრომლობენ პროგრამის პერსონალთან და უზრუნველყოფენ შეფასების პროცესის კონსტრუქციულობას, შესაბამისად, პროგრამის თვითშეფასების ანგარიში მზადდება ორივე დაწესებულების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით.

რადგან პროგრამას ჯერ არ ჰყავს სტუდენტები და კურსდამთავრებულები, შეიძლება დადასტურდეს, რომ თვითშეფასების პროცესში სხვა დაკავშირებული პროგრამების სტუდენტები და კურსდამთავრებულები იყვნენ ჩართულნი. შიდა ხარისხის შეფასების პროცესები, პრობლემების მიზანმიმართული იდენტიფიცირებისა და ხარისხის გაუმჯობესების ინტერვენციების უზრუნველსაყოფად, იყენებენ საჭიროებაზე დაფუძნებულ და საჭიროების შეფასების გამოკითხვებს. ეს გამოკითხვები მიზნად ისახავს სტუდენტების კმაყოფილების, საჭიროებების და სურვილების დადგენას. ასევე ტარდება სტუდენტებისა და პერსონალის ყოველწლიური კმაყოფილების გამოკითხვები პროგრამების ზოგადი ადმინისტრირებისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის შესაფასებლად.

ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, უსდ-ები შიდა ხარისხის შეფასების ციკლების დასკვნებსა და შედეგებს წარუდგენენ მმართველ საბჭოს, რომელიც განიხილავს თითოეული დაწესებულების ანგარიშებს და საჭიროების შემთხვევაში იძლევა რეკომენდაციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ორივე უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შესწორებების შეტანისა და გაუქმების წესები და პროცედურები
- პროგრამის განხორციელების შესახებ შეთანხმება
- გამოკითხვის ფორმები და შედეგები
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გარე ხარისხის უზრუნველყოფა სტუ-სა და ბრიტანულ უნივერსიტეტში ძირითადად ხორციელდება აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესების მეშვეობით, რომლებსაც ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. თითოეულ დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს რეკომენდაციებსა და

რჩევებს და დასკვნებს შემდგომი განხილვისათვის წარუდგენს პროგრამების ხელმძღვანელებს. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს გატარებული ღონისძიებების შესაბამისობას მიღებულ რეკომენდაციებთან.

დაწესებულებები, პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის, ასევე აქტიურად იყენებენ განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას. კიბერუსაფრთხოების საგანმანათლებლო პროგრამა შეაფასა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის პროფესორმა. შეფასებაში ხაზი გაესვა პროგრამის მნიშვნელობასა და ინდივიდუალიზმს, პროგრამის მიზნების თანამედროვე ტენდენციებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას, სასწავლო გეგმებისა და კვლევის თავისებურებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ორივე უსდ- ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- პროგრამის განხორციელების შესახებ შეთანხმება
- გამოკითხვის ანგარიშები და ფორმები
- ანალოგური პროგრამების სამიზნე ნიშნულები
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
-------------------	-----------------

5.2. გარე ხარისხის შესაბამისობაშია შეფასება

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ფაქტი, რომ პროგრამის ხარისხის შეფასება გამარტივებულია პროგრამის განხორციელების შეთანხმებით განსაზღვრული დაწესებულებათაშორისი ხარისხის უზრუნველყოფის მიდგომით, უზრუნველყოფს მუდმივ თანამშრომლობას და ერთობლივ წვლილს პროგრამის დონეზე ხარისხის გაუმჯობესებაში. პროგრამის განვითარებისა და სერვისის გაუმჯობესების მიზნით, ბრიტანული უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები უზრუნველყოფენ მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების პროცესში ჩართულნი არიან როგორც შიდა, ასევე გარე დაინტერესებული მხარეები. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის განსახორციელებელი ცენტრალური ინსტრუმენტია პერსონალთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ჩატარებული გამოკითხვები. ყოველი სავალდებულო კურსის დასასრულს სტუდენტები აფასებენ კურსს მისი შეფასების ფორმის შევსებით. აუცილებლობის შემთხვევაში, ასევე, ეწყობა ფოკუს ჯგუფები. კმაყოფილებისა და საჭიროებების შეფასებითი გამოკითხვები გამოიყენება პრიორიტეტებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსავლენად, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეფექტური მონიტორინგის პროცესი. მაგისტრანტები ასევე აფასებენ ხელმძღვანელობის პროცესსა და ხელმძღვანელების ეფექტურობას. შეფასების პროცესის შედეგები ვრცელდება პროგრამის გუნდს შორის და გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისთვის.

პროგრამა ასევე სარგებლობს კლასში დაკვირვების პრაქტიკით, როდესაც შეფასებები ტარდება კოლეგების მიერ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობითა და პროცედურით. კოლეგიალური დასწრების ჯგუფი ამზადებს ურთიერთდასწრების გრაფიკს და სწავლება- სწავლის შეფასების

კრიტერიუმებს/ ინდიკატორებს, რომელთა მეშვეობითაც ფასდება ლექცია/ პრაქტიკული სწავლება.

ყოველი სემესტრის ბოლოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას, ხოლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მმართველ საბჭოსთან ერთად იხილავს შეფასების შედეგებს და იყენებს სასწავლო პროცესების გასაუმჯობესებლად. დაწესებულებებს აქვთ პროგრამის ეფექტიანობის შეფასების პრაქტიკა - უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული შიდა თვითშეფასება. პროცესი მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშის შედგენას, რომლის მიზანია ძლიერი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი სფეროების იდენტიფიცირება. პროგრამების პერიოდული თვითშეფასება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზს, სტუდენტების სემესტრულ გამოკითხვას კურსების/ პროგრამის კომპონენტების შესახებ, პროგრამაში ჩართული მოწვეული და აკადემიური პერსონალის შეფასებას სტუდენტების გამოკითხვების საფუძველზე და დამსაქმებლებისა და გარე ექსპერტების შეფასებებს.

უწყვეტი განვითარებისა და ტენდენციების იდენტიფიცირების მიზნით, ანგარიშები ფასდება დინამიკის შესაბამისად, თვითშეფასების პროცესის შედეგები შედარებულია თითოეული მომდევნო საანგარიშო პერიოდის შედეგებთან. შეფასება ორიენტირებულია გადახრების მიზეზების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იდენტიფიცირებაზე და მათ აღმოსაფხვრელად ზომების გატარებაზე - პროგრამაში და/ ან კურსში გარკვეული ცვლილებების შეტანაზე; სწავლება- სწავლის მეთოდების მოდიფიცირებაზე; სასწავლო კურსის სასწავლო გეგმაში გამოყენებული შეფასების მეთოდების ოპტიმიზაციაზე; სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული ლიტერატურის შეცვლაზე; სასწავლო კურსის წინაპირობების დადგენაზე/შეცვლაზე და ა.შ.

უსდ-ები, კონკურენტუნარიანი და ინდივიდუალური პროგრამის შესამუშავებლად, უზრუნველყოფენ ბენჩმარქინგს საუკეთესი პრაქტიკებისათვის. პროგრამა ითვალისწინებს დარგის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილებას - კარნეგი მელონის უნივერსიტეტი - ინფორმაციული უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა (MSIS), უორვიკის უნივერსიტეტი - კიბერუსაფრთხოების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა, SANS Technology Institute - ინფორმაციული უსაფრთხოების ინჟინერიის სამაგისტრო (MSISE) და უორვიკის უნივერსიტეტი - კიბერუსაფრთხოებისა და მენეჯმენტის სამაგისტრო (WBS/WMG)

პროგრამები. პროგრამის შემუშავების პროცესზე გავლენა იქონია ბევრმა საერთო კურსმა და კვლევითმა თავისებურებამ, თუმცა ის ასევე ითვალისწინებს ადგილობრივ ქართულ რეალობასა და მოთხოვნებს. შესაბამისად, მოიცავს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო პრაქტიკასა და მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ორივე უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შესწორებების შეტანისა და გაუქმების წესები და პროცედურები
- პროგრამის განხორციელების შესახებ შეთანხმება
- გამოკითხვის ფორმები და შედეგები
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა	შესაბამისობაშია